140
1960/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი

9
1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლისკენ

ნახ. ზ. ლეფაგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

5009

მომილოცნია! იღება
დღეს სასწავლებლის კარები.
რეკენ მთელს საქართველოში
წკრიალა სკოლის ზარები.

ერთურთს ხვდებიან ტოლები,
მკერდში ეკვრიან, ჰკოცნიან...
პირველი სექტემბერია,
იხარეთ, მომილოცნია!

ირაკლი აბაშიძე

პიონერი

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნოარ
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
უოველთვიური საბავშვო
ჟურნალი

9

სექტემბერი
1960

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,
რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი),
მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი).

გამოცემის წელი
XXXIV

ს. ფანასკერტელის ს. ... ...

ქაჯთველი ნასლნი ლილი ეოსეაგე

ნაბერის ახლოს გამლილია თეალწარმტაცი სოფელი სხვეტორი, რომელსაც ჩამოუდის პატარა მდინარე ჩიხერა. ამ სოფელში 1840 წლის 9 ივნისს (ძველი სტილით) დაიბადა აკაკი წერეთელი—მომავალი დიდი პოეტი, მშობლიური ხალხის დიდი პირისუფალი და მისი ზრახვების შესანიშნავი გამომხატველი.

აკაკი წერეთელმა თავისი მხატვრული ნაწარმოებებით—ლექსებით, მოთხრობებით, პიესებით თუ პუბლიცისტური წერილებით მეტად დიდი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში.

პატარა აკაკის აღზრდა კეთილად წარმართა მისმა დედამ ეკატერინემ, აბაშიძის ქალმა, რომელიც იმ დროისათვის კარგად იყო განსწავლული. პატარა აკაკის კარგად შეუნიშნავს თავისი დედის გარჯილობა, ზრუნვა, მოყვარეობა, ადამიანის მოსიყვარულე გული. 12 წლისას დედისათვის ლექსიც კი მიუძღვნია. ამ ლექსში დედა პოეტს ასე ჰკვეს დახასიათებული:

არად ზერაცხს ზრუნვას,
ტანჯვას.
სამოლოდოდ მოსალხენსა,
ტკბილსა შეიქნს ფუარისაგან,
ბნელსა ადგილს ნათელს ფუნსა.

მაშინ თავადობაში ასეთი ჩვეულება იყო: „თავიანთ ბავშვებს ყმებს აძლევდნენ გასაზრდელად. აჩა აკაკის დედ-მამას, როსტომ წერეთელსა და ეკატერინე აბაშიძის ქალს, უდაოლტნიათ ამ ჩვეულებისათვის, და პატარა აკაკი ალსაზრდელად მიუციათ საწერეთლოში მღვიმარე სოფელ საკანეში მეხოვრეს ერთ-ერთი ვლეხი ქალის მანო სადენაშვილოსათვის. აკაკი დიდი მადლიერი დარჩა ამ ჩვეულების. „ეურთხეული	y იყოს ეს ჩვეულება!—წერს აკაკი თავის „ჩემს თავგადასავალში“, —არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო მისი წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და ვლეხებს შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“.

უნდა შეენიშნოთ, რომ ვლეხებს შორის ცხოვრებამ პატარა აკაკიზე მართლაც წარეშლელი გავლენა მოახდინა, თავისი ღრმა კვალი დაამჩნია და მიმართულება მისცა კიდევაც მთელ მის შემდგომ მდიდარ შემოქმედებას. ცოცხალი და მკეარცხლი გონების პატარა აკაკი გახდა განუყოფელი თანამგზაური პატარა ვლეხი ბიქებისა.

ხუთი-ექვსი წლის იყო აკაკი, სახლში რომ დაბრუნდა თავის შობლებთან. აქაც მთელ დღეებს მოსამსახურეებთან—გოგო-ბიქებთან ატარებდა. აკაკის ბავშვობაშიც აღმოაჩნდა ზარი ბის თქმის გასაოცარი ნიჭი. ამ ნიჭის ზრდას და განვითარებას კარგ ნიადაგს უქმნიდა ხალხური ლექსები, ზღაპრები, ლეგენდები. რომელთაც საოცარი ყურადღებით ისმენდა ხოლმე ბავშვი აკაკი ძაძის ქოხში, სოხანესთან ჯდომისას და შემდეგ საკუთარ სახლში. არავინ არ დაუტოვებია გაუწყენლავი თავის ზარიბში. მაგრამ ყველაზე მეტი წკეპლა მოუტაგს მოხდა:

„ბეღელს თავგი შესჩვევია.
ხარაკს სუელ, რაც სახრავეიო,
მაგრამ ფეფილ დიდი თავგი
ჩვენი მოურავეიო“.

ათი წლისა იყო აკაკი, როცა ის მოწყვეტილს სოფელს და წაიყვანეს ქუთაისში და იქ გიმნაზიაში მიაბარეს. ეს მოხდა 1850 წელს.

აკაკი „ჩემს თავგადასავალში“ ერცლად აღწერს სასწავლებელში გამატარებელ სასტიკ რეჟიმს, აღზრდის აუტანელ პირობებს. მასწავლებლები უმთავრესად ვეღ

„ეი, ამ აკვანში დაარწიეს პატარა აკაკი!

ლურ ძალადობას მიმართავდნენ, მოსწავლეებს ფიზიკურად სჯიდნენ. მაგრამ იყვნენ დემოკრატიულად განწყობილი მასწავლებლებიც. ასეთი იყო საქართველოში გადმოსახლებული მათმატიკის მასწავლებელი როდიონეიანი, რომელმაც აკაკის თავისუფლებისმოყვარეობა ჩაუნერგა. ქუთაისის გიმნაზიაში აკაკიმ დაჰყო 1859 წლამდე, რის შემდეგაც უმაღლესი განათლების მისაღებად გეზი პეტერბურგისაკენ აიღო; და უნივერსიტეტში შეიდა.

მეტად საინტერესო დროს მოხვდა აკაკი, ისე როგორც ჩვენი დიდი ილია და სხვა თერგდალეულნი პეტერბურგის უნივერსიტეტში. საზოგადოების მოწინავეი ნაწილი უდიდესი მოაზროვნეების გავლენით ვითარდებოდა. ეს დიდი ადამიანები იყვნენ: გერცენი, დობროლიუბოვი, ჩერნიშევსკი, ბელინსკი და სხვანი. ისინი, ხალხის მოწინავე აზრებისა და ზრახვების გამომხატველნი, მეუძღოდნენ ხალხს და აისახეს ყველა ფენობლების წინაადგდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. მათ იღებენ იზრდებოდა მაშინდელი რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობა. ამ მოძრაობაში ქართველი სტუდენტობაც ჩაება, მათ შორის იყვნენ: ილია, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ. ამ წრეში აღმოჩნდა ჭაბუკი აკაკიც. იგი აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე შეიდა და ამავე დროს ხარაბად დაეწყო რეფოლუციონერ-დემოკრატების ნაწარმოებებს. 1862 წელს აკაკიმ უკანასკნელი გამოცდები ჩაიბარა და დაუბრუნდა შშობლიურ ქვეყანას. დიდი ცოდნით შეიარაღებულმა აკაკიმ საკუთარი გზა აირჩია: ის იყო მწერლის მძიმე და საპატიო გზა.

ყოველ დილას, ამ მაღვიძარა საათის წკრიალზე ადგდა თავიდან აკაკი... შეუდგა მგზავნის მაგიჩიკევა და საათიც საბუთიოდ დადგმდა...

აკაკიმ თავისი ლექსების გამოქვეყნება ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო. ცნობილი ლექსი „ბიდღმლო ბარათი“, რომელიც აკაკიმ დაწერა 1859 წელს პეტერბურგში, დაიბეჭდა ჟურნალ „ეისკარში“, რომელსაც ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე კერესელაძე რედაქტორობდა. ამ ლექსმა ერთბაშად მიიპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება, და ეს ლექსი „ბაკნ“ ახალი ლირიკული პოეზიის სათავე. ლექსი ფართოდ გავრცელდა ხალხში, მისი ვლული დაიბეჭდა, სიმღერად გადაიქცა. როგორც ვიცით, აკაკი შემდეგ გახდა ხალხის ფიქრთა მკურნალი და მისი ლექსების უმრავლესობა ხალხს ჩონგურზე გადაჰქონდა დასამღერებლად.

აკაკი წერეთლის პოეტური მოღვაწეობის საფუძველს შეადგენდა ხალხში ეროვნულ-განმათავისუფლებელი აზრის გავრცელება და სოციალური უსამართლოების წინააღმდეგ ბრძოლა. დიდი პოეტი ხედავდა, რომ ქართველი ხალხი განიცდიდა როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ ჩაგვრას, რის გასანიერებასაც მეფის თვითმპყრობელობა წარმოადგენდა. ამიტომ აკაკი ოცნებობდა შშობელი ხალხის როგორც ეროვნული, ისე სოციალური თავისუფლების მოპოვებაზე.

თავისი ქვეყანა აკაკის წარმოდგენილი ჰყავდა ხან ქაჯების მიერ მიტაცებულ და ციხეში დამწყვდეულ ნესტან-დარეჯანად, ხან კაკასიის ქედზე მიჯაჭვულ ამირანად:

„ამოვ ფრო და თავს ალმეკვს,
ამ ჯაჭვს გაანწყვეტს კმორა-გმირი!
სიხარულად შეეფლება
ამფერი ხნის გასაბერი“.

აკაკი მოუწოდებდა ხალხს არ დამონებოდა თვითმპყრობელობას, არ მოიხიბლულიყო მისი მოჩვენებითი ალერსით, არ ჩაეარდნილიყო ეინჭვარში, არ შეეყვა შარბათი, რომელშიც მტრის მიერ საწამლავი იყო გარეული. როგორც მოსიყვარულე მამა შვილს, ისე დასტრიალებდა ის თავის ქვეყანას, მუდამ მასი ინტერესებს საფარაჯოროზე იდგა, მას იცავდა, იბრძოდა ხალხს უფლებათა მოსაპოვებლად. აკაკი აწყმაზი ხედავდა თავისი ქვეყნის დიდ მომავალს და ამით დაამედებული ამბობდა: „მეკენება სიკეთილი ტაბილეთ“. აკაკი ქვეყნის განმათა-

ზანდელი სხვეტორის სახლ-მუზეუმიდან.

ვისუფლებელ გმირს ხედავდა ხალხში. მისი მიზანი იყო აღეზარდა ხალხში გმირული, მებრძოლი სული. ამიტომ მიმართავდა ხოლმე წარსულს. უნდოდა მისი ნანგრევებიდან აღედგინა დამოუკიდებელი სამშობლოს სურათი. მან შთაბერა სული ისტორიულ პირებს და წარუდგინა ისინი თავის ხალხს როგორც სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლნი. ეს გმირები პოეტმა აღჭურვა დიდი ზნეობრივი ძალით, პატრიოტული სულისკვეთებით, თავდადებული ბრძოლის უნარით. მის მიერ დახატული თორნიკე ერისთავი, ბაგრატ დიდი, პატარა კახი, ბაში აჩუკი, ნინო, ქეთევან, თამარი და მრავალნი სხვანი სულით მაღალი, ზნეობრივად სპეტაკი და სამშობლოს მოყვარული გმირებია.

მესამოცე წლების იდეებზე აღზრდილი აკაკი გაბედულად და მტკიცედ შეებრძოლა სოციალურ უკუღმართობას, უსამართლობას. მრავალ ლექსში პოეტი როგორც მშრომელი გლეხობის გულწრფელი მოსარჩლე, იბრძვის ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების აღმოსაფხვრელად. მეხსიერებაში ჩარჩენილი ჰქონდა ის სამარცხვინო, გლეხობის დამამცირებელი სცენები, რომელთა მოწამეც ბავშვობაში იყო. იგი დაურიდებლად მიმართავს გლეხის პირით ბატონს:

„პირუტყვივით მიმონებ,
მფლობ და არ გეცოდები“.

გოდება და ჩივილი ისმის მის ლექსებში:

„მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური,
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო, უბედური.“

გლეხთა ფორმალური განთავისუფლებაც კი აკაკიმ



აკაკის უყვარდა ხავერდო და სამაისო ჭუთაისის ბაღში გასეირნება.

ხასლი სოფელ სხვიტორში, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა აკაკი წერეთელი.

ღრმად განიცადა და სიხარულით დაუმღერა საბატონო ყმების ახალშობილ ჩვილებს „იმერული ნანინა“.

გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო!
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც გაგტეხს ვალიო.“

აკაკის ოცნებამ ხალხის თავისუფლებაზე ფრთები შეისხა 1905 წლის რევოლუციის დროს. მან თარგმნა „ინტერნაციონალი“, დაწერა ლექსები, რომლებიც ხალხს ბრძოლისაკენ, შურისძიებისაკენ მოუწოდებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსი „ხანჯალი“, რომელსაც მიმართავს მოწოდებით, ძმობა გაუწიე უსამართლოდ დაჩაგრულებსო.

აი, ამ მაგიდასთან დაწერა დიდმა პოეტმა მრავალი უკვდავი ნაწარმოები.

დამახასიათებელია, რომ აკაკის მრავალი ლექსი ასეა დასათაურებული: „გლეხების სიმღერა“, „მუშური“, „გლეხის აღსარება“ და სხვ. ამ ლექსებში დიდი პოეტი მისთვის ჩვეული მხატვრული ძალით გამოხატავს მშრომელი ხალხის გულისნადებს, მის ზრახვებსა და სულისკვეთებას. პოეტი კიცხავს ყველას, ვისაც არა სწამს „ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

აკაკი ბრძოლაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში მოურიდებელი იყო. მისთვის საზოგადო ინტერესები იყო მთავარი და არა პირადი კეთილდღეობა. ბრძოლაში, რომელიც სალიტერატურო ენის გარშემო გაიმართა, აკაკიმ უშუალო მონაწილეობა მიიღო. მან პრაქტიკული მოღვაწეობით, თავისი მხატვრული ნაწარმოებებით ნათელჰყო, რომ სავსებით ხალხური ენის ნიადაგზე იდგა. მან საქმით დაუკავშირა სალიტერატურო ენა ხალხურ, უბრალო და ნათელ მეტყველებას. ამ მხრივ აკაკის ღვაწლი დაუფასებელია. აკაკი ხალხის ფენებში ტრიალებდა, ყურს უგდებდა მის მაჯისცემას და თავის პოეტურ ხმას ყოველთვის ხალხის ხმაზე აწყობდა.

აკაკი მშვენივრად იცნობდა იმ დიდ საუნჯეს, რომელიც ხალხური ლექსების, შაირების, ზღაპრების, თქმულებების, ლეგენდებისა თუ იგავ-არაკების სახით იყო გავრცელებული. აკაკიმ ამ საუნჯის შენახვასა და დაცვაში უდიდესი როლი შეასრულა და ამით ჩვენს კულტურას დიდი ამაგი დასდო.

თავის შემოქმედებაში აკაკი დიდ ადგილს უთმობდა ახალგაზრდობის აღზრდას, მასში მაღალი ზნეობის გაღვივებას. ამ ამოცანას ემსახურება მისი ბევრი საბავშვო მოთხრობა, დიდი ზნეობრივი ძალის შემცველი პოემა „აღმზრდელი“, მრავალი ლექსი. უნდა აღინიშნოს მის მიერ კრილოვის იგავ-არაკების ქართულ ენაზე გადმოღება, ქართულ სინამდვილესთან შეხამება. ეს იგავ-არაკები იკითხება როგორც ორიგინალური ნაწარმოებები.



აკაკის ხაწერ-კალამი და ხამელნე.

არ ყოფილა ჩვენში რაიმე საზოგადოებრივი წამოწყება, რომ მასში მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო აკაკის. ის ხალხთა ძმობის დიდი მომღერალი იყო.

აკაკის მხატვრული ნაწარმოებების ენერადობა ხალხურია, მათი აზრი და მისწრაფებანი ხალხისაა, ამიტომ გახდა აკაკი ხალხის ასეთი საყვარელი პოეტი, ხალხმა მას თავისი პოეტი უწოდა. აკაკი მშრომელი, გამოფხიზლებული ხალხის ჭეშმარიტი მომღერალია; ამიტომ შეეზარდა იგი ხალხს, მის გულში უწმინდესი ადგილი დაიკავა, თვითონ პოეტის გული დაადნა ჩონგურის სიმებს, პოეტურ სიმღერებში დაიცალა მისი ამაღლებული სული.

თავის საუკეთესო ლექსში „განთიადში“, რომელიც ყოველთვის დაამშვენებს პოეზიას, და რომელიც სამშობლოს ამოუწურავი სიყვარულით არის გაჟღენთილი, აკაკი სამშობლოს მიმართავდა თხოვნით: „დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“. ხალხმა შეუსრულა ეს თხოვნა. 1915 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) გარდაცვლილი დიდი პოეტი, ქართული პოეზიის მნათობი აკაკი დაკრძალულ იქნა მთაწმინდაზე, პანთეონში, სადაც განისვენებენ ქართველი ხალხის დიდი მოამაგე მოღვაწენი.

შალვა აფხაიძე

სასწაული

ილო ბერეზვილი

ნახ. კ. მახარაძისა

მოთხრობა

შემოდგომის ქარი ხშირად ჰქროდა, მაგრამ ფოთოლცვენა ჯერ არ დაწყებულიყო. მთებს რუხი ფერი დასდებოდა, ჭალებს—ყვითელი. ხასხასა მწვანე კორდებიც შემოდგომის სუსხს გაეხუნებინა. ნართვლევი ვენახები მოწყენით გამოიყურებოდნენ. ვისაც რთველი შეგვიანებოდა მათ ზვრებში კი ქარვისფრად ღუოდა მზის სხივებით ჩაშაქრული, ნამით გადაბანილი ყურძენი.

ბიჭებს ნაქარალა კაკლები მოეგროვებინათ და სოფლის ბოლოს ბებერ მუხის ქვეშ სალაობას თამაშობდნენ. როცა შორს გატყორცნილ სალას გაედევნებოდნენ, ჯიბე-უბეში დაგროვილი კაკლები ეჟვნებივით ჩხარუნობდნენ.

თამაშში გართულმა ყმაწვილებმა ვერ შეამჩნიეს, მუხის ქვეშ წყაროსთან საიდან გაჩნდა უცხო კაცი.

მგზავრი წყაროს პირას მივიდა, მხარზე გადაკიდებული ფიჯაკი ძირს დახრილ მუხის ტოტზე დაჰკიდა, სახელოები დაიკაპიწა, ხელები გადაიბანა, წყურვილი მოიკლა, ფართო, ნათელი შუბლი გაიგრილა. გრძელ, თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა, თმაზედაც გადაიტარა სველი ხელისგული, ათასწლოვანი ბერმუხა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა და მის ქვეშ დაყრილ ქვასკამებზე ჩაიმუხლა.

ყმაწვილებმა ახლაღა დაინახეს უცხო კაცი. დიდხანს უცქირეს, მაგრამ ვერ გაიგეს ვინ იყო, ვინ არა, თუმცა კი იგრძნეს, რომ მათ წინ ვიღაც სწავლული კაცი იჯდა. ბავშვები შეცბნენ, თამაშობა მიატოვეს და კრძალვით და რიდით, შეფარვით შორიდან დაუწყეს ცქერა.

მოხუცმა ყმაწვილებს გაუღიმა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით თავისკენ მოიხმო.

—შენ რა გქვიან ბიჭიკო?—უთხრა ფეხშიშველა, ხალათ ჩამოხეულ შავთვალა ბიჭს მგზავრმა.

— შაქარა.

— რა გვარი ხარ?—ჰკითხა იმავე ბიჭს.

— ფოცხვერაშვილი.

— სახელიც კარგი გქონია და გვარიც. კაცური კაცი მართლაც შაქარივით ტკბილი უნდა იყოს და ფოცხვერივით მარდი.

— შენ რაღა გვარის კაცი ხარ?—მიუბრუნდა ხუჭუჭთმიან ბიჭს, რომელსაც შიშველა ფეხი ქვისთვის წამოეკრა და ცერა თითიდან გადმონადენი სისხლი ზედ შეხმობოდა.

— მჭედლიშვილი!—მიუგო სწრაფად და ქვის სალა ხელში შეათამაშა.

— ფეხი რატომ გაქვს დასისხლიანებული?

— ქვას წამოვკარი.

— ხომ გეტკინა, რატომ არ შეიხვიე?

— მეტკინა, მაგრამ ნერწყვით მოვიბანე, ზედ მაყვლის ხმელი ფოთლის ნაფშვნეტი დავიყარე და დამიამდა.

— ყოჩაღ! შენ ექიმობაც გცოდნია!

პატარა ბიჭმა ჩაიღიმა და მორცხვად თავი დახარა, სხვებმა გადაიხარხარეს.

მგზავრმა კარგა ხანს შეიქცია თავი ცელქებთან საუბრით. ბოლოს წამოდგა, უბიდან პატარა, ლამაზყდიანი წიგნი ამოიღო და მალხაზებს მიმართა:

— აბა, თქვენში ვინ იცის ყველაზე უკეთ წიგნის კითხვა, ამ წიგნს იმას ვაჩუქებ.

ბავშვები თვალხარბად შესცქეროდნენ წიგნს, მაგრამ, მე ვიცი წიგნის კითხვაო, ამის თქმა ვერავინ გაბედა.

—აბა, შაქარ, შენ არ იცი წიგნის კითხვა?

— არ ვიცი.

— შენა?

— არც მე.

— შენა?

— არც მე.

ყველა დამორცხვებული იდგა. ერთ წამს მგზავრიც ფიქრებში ჩაიძირა, დანაღვლიანდა.

— მაშ მთელ სოფელში წერა-კითხვა არავინ იცის?

— მე ვიცი,—მორცხვად წამოიძახა ერთმა გიშრისფერთვალებიანმა ქოჩორა ბიჭმა, რომელიც ცოტა განზე გასულიყო და იქიდან უსმენდა უცხო კაცისა და თანატოლთა საუბარს. წიგნი რომ დაინახა, გული აუჩქროლდა, მაგრამ დაიმორცხვა და აქამდე ხმა ვერ ამოიღო.

— აბა, ჩემთან მოდი ბიჭიკო!—მოიხმო ბავშვი თავისთან და მხარზე ხელი დაადო.

— რა გქვიან?

— თანდილა.

— ვინ გასწავლა წერა-კითხვა?

— მახარე პაპამ.

— აი, რა კარგი პაპა გყოლია. რადგან ასეთი ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, ამ წიგნს შენ გაჩუქებ. მხოლოდ იმ პირობით, რომ შენს ამხანაგებსაც ხმამაღლა წაუკითხო ხოლმე. ამხანაგებს წერა-კითხვა ასწავლე. მაშინ ყველას შეეძლება წიგნის კითხვა. კარგი?

— წავუკითხავ, მაშ არ წავუკითხავ? პაპამ რომ ქალაქიდან „არსენას ლექსი“ მომიტანა, იმდენჯერ წავიკითხე, რომ ახლა ყველამ ზეპირად იცის.

— ყოჩაღ! თუ თქვენ კარგად ისწავლით, ქალაქიდან მასწავლებელს გამოგიგზავნით და ყველას გასწავლით წერა-კითხვას.

ბავშვები სიხარულისაგან ბეღურებივით აყივყივდნენ.

— აბა, ახლა მითხარით, თქვენს სოფელში ყველაზე ბევრი ზღაპარი და ლექსი ვინ იცის?

— თანდილას პაპამ,—თითქმის ერთხმად მიუგეს ყმაწვილებმა.

— სახლშია პაპაშენი?—ჰკითხა უცხო კაცმა თანდილას, რომელიც ნაჩუქარ წიგნს მოწიწებით ათვალიერებდა.

— სახლშია. ურმის უბეებს თლის.

— მაშ წამიყვან პაპაშენთან?

— წამობრძანდით,—დარცხვენილმა ძლივს მოახერხა ამის თქმა და სიხარულით ფრთებშესხმული წინ გაუძღვა სასურველსა და ტკბილმოუბარ სტუმარს.

* * *

მახარემ დაამთავრა ურმის უბეების გამართვა და ჭლების მორგება. კოფო და კონკილაც გამოთალა. როცა ყველაფერი გაამზადა, ეზოში გაფანტული ნაფოტები შეაგროვა, ცეცხლი გააჩაღა და ალზე ახლადგათლილი თელის უბეები გატუსა, რათა მზე-წვიმას ადვილად არ დაეშაშრა და არ დაელპო. ნაჯახი, ხელეჩო, სატეხი და სხვა იარაღები ერთად შეაგროვა, სათონის თახჩაში შეაბარგა. ხეივნის ქვეშ ლოდზე ჩამოჯდა, ქისა ამოიღო, ჩიბუხიდან ცისკენ ნისლივით მიმავალ ბოლს ერთ წუთს მზერა გააყოლა, მერე თავი დაბლა დაღუნა და ფიქრებში ჩაიძირა.

უცებ, ეზოს კარი გაიღო, თანდილა და უცხო მგზავრი ეზოში შემოვიდნენ.

— დაუპატიჟებელ სტუმარს არ ღებულობთ, ოჯახიშვილებო?

— კარგ სტუმარს წვევა-პატიჟი არა სჭირდება, მისთვის ეზოს კარიც თავისით იღება, სახლისაც და გულისაც.

— აგაშენა ღმერთმა, გულიანი კაცი ჩანხარ და სიტყვაც გულიანი გცოდნია.

მახარე მუხლქარიანად წამოდგა, სტუმარს ჰიმაკართან შეეგება, ხელი ჩამოართვა და მშვიდობით მოსვლა უსურვა. თუმცა პირველად ხედავდა, მაინც ჯალაბობიანად მოიკითხა. მერე სახლისაკენ გაუძღვა და შინაობა სთხოვა. სტუმარი კი დამწიფებული მტევნებით დახუნძლულ თალარისაკენ წავიდა.

— სახლში ყოფნას აქ სჯობია, სუფთა ჰაერზე,— თქვა და იქვე გრძელ ხის სკამზე ჩამოჯდა.

სტუმარი უამური კაცი არ ჩანდა, მაგრამ არ იცოდა მახარემ, ვინ იყო და რა საქმეზე გარჯილიყო.

ერთ წუთს ახლად შეყრილი სტუმარ-მასპინძელი დადუმდა. თანაკბილანი იყვნენ და ერთმანეთს ფარულად უთვალთვალებდნენ.

— ალბათ გეუცხოვება, ჩემო მახარე, ჩემი მოულოდნელი სტუმრობა. ეგებ მეტისმეტს გაწუხებთ, მაგრამ, მე მგონი, შეგვინდობ,—დაარღვია დუმილი სტუმარმა.

— რას ბრძანებთ, ჩემო კეთილო. გზად მიმავალ გადამთიელსაც არ გამოვუჯარავთ სახლის კარსა და ქართველ კაცს ქართველი კაცის სტუმრობა როგორ უნდა გაუკვირდეს.

შე დედ-მამა განათლებულო, რას ბოდიშობ, ამ მიყრუებულ სოფელში ღვთისნიერი კაცის სტუმრობა დანატრებულიცა გვაქვს, სიმდიდრით ვერ გაგაკვირვებთ, მხოლოდ, ჩვენი სიღარიბისა რაც კი რამ გაგვაჩნია, ყველაფერი შეხს წინ გაიშლება.

— დიდად მადლობელი ვარ, ჩემო მახარე, ოჯახს

— ეოჩალ! თუ თქვენ კარგად იხწავლით, ქალაქიდან მახწავლებელს გამოგიგზავნით და ყველახ გახ წავლით წერა-კითხვახ.

ნურაფერზე შეაწუხებ, ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს და იმაზე ნუ მეტყვი უარს.

— თუ კი რამე შემიძლია, მიმსახურე, შენი ჭირიმე. ხოლო, ერთი ეს მიბრძანე, საიდან გეცნაურები, ან ჩემი სახელი ვინ გასწავლა?

— ვინა და აი იმ ვაჟკაცმა,—მიუთითა იქვე მდგარ, ცნობისმოყვარეობით თვალებანთებულ თანდილაზე და თან სწორი, გრძელი თითები ალერსით გადაუსვა აბურძგნულ, შეუსწორებელ თმებზე.

— მე, ჩემო მახარე, სოფლიდან სოფელში დავდივარ და ხალხში გავრცელებულ ზღაპრებს, ანდაზებს, ლექსებსა და თქმულებებს ვიწერ და ვაგროვებ. სოფლის ბოლოს შემხვდა თანდილა და მისი მეგობრები; ყველაზე ცნობილ მეზღაპრედ ყველამ ერთხმად შენ დაგასახელა. ნებით თუ უნებურად, ამის გამო გავხდი შენი სტუმარი, ჰოდა, აი, ჩემი სათხოვარიც ის არის, რომ ნუ დაიშურებ დროსა და ცოდნას და, რაც იცი, ყველაფერი ჩამაწერინე.

მახარეს გაოცებაცა და ცნობისმოყვარეობაც ერთდროულად გამოეხატა სახეზე.

— რაო, მახარე, გეტყობა, გაგიკვირდა ჩემი სტუმრობის მიზეზი.

— დიაღ, მართლა გამიკვირდა, კაცი დავბერდი და აქამდე არ გამიგია ამისი მსგავსი რამ. ზღაპარს ჩვენ ან ბავშვების გასართობად ვამბობთ, ან ღამის მეხრეობის დროს, რომ არ დაგვეძინოს და საქონელი არ დაგვეკარგოს. თქვენისთანა ნასწავლ კაცს კი რაში სჭირდება ჩვენებური ზღაპრები?

— ხალხში გავრცელებული ზღაპრები და თქმულებები, საუკუნეთა მანძილზე შექმნილი, ჩვენი ხალხის დაუწერელი წიგნია. დრო გადის და ბევრი რამ დავიწყებას ეძლევა, იკარგება, ხან გარეშე მტრების მოძალებით, ხან ჩვენი ბედოვლათობითა და უყურადღებობით. აქამდეც ბევრი რამ მიგვინავლდა და დავიწყებას მიეცა, რაც დაგვრჩა, იმას მაინც უნდა მოვუაროთ.

— რა ვიცი, ჩემო კეთილო! შენ უფრო უკეთესად იცი, რა არის კარგი და რა არის ცუდი. თუ კი მართლა რაიმე ფასი აქვს ბაყბაყ-დევისა და ასფურცელას ზღაპრებს, იმდენს გეტყვი, რომ ცა ქაღალდად არ გეყოს და ზღვა მელნად. აჰაანდე, მე გეტყვი და შენ ჩაიწერე.

სტუმარმა საწერ-კალამი და ქაღალდი მოიმარჯვა.

— აბა, ვიდრე ჯერ კიდევ დღის სინათლეა, მიამბე რამე, რასაც დღეს ვერ მოვასწრებთ, ხვალ ჩამაწერინე.

— ასე უცებ, შე კაიკაცო, ზღაპარს კი არა, გამარჯვების თქმასაც ვერ მოვასწრებ და ვერ მოვახერხებ. რას ჩქარობ, ხომ გაგიგონია: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო“.

პირმღიმარე სტუმარი შეესიტყვა მახარეს: აი, ასეთ ნაკვესებს თუ ხშირ-ხშირად მეტყვი, კერის პირიდან აღარ მოგშორდები.

— ეგეც არ იყოს, მა სად აპირებ წასვლას? თუ ჩემს ღარიბ ქოხში ღამის გათევა გეთაკილება, პურ-მარილზე მაინც დამეწვიე, სახლ-კარი დამილოცე, ჭერი გამიმხიარულე.

* * *

მაჭრით სავსე ყანწები რამდენჯერმე გამოცალა, თანაკბილა მოხუცები საუბარში გაერთვნენ. სტუმარმა ბუხრის თავზე კარგა მოზრდილ წიგნს მოჰკრა თვალი.

— ეგ რა წიგნია, ჩემო მახარე, საგანგებოდ რომ შეგიფუთვნია?

მახარეს ღიმმა გაუნათა სახე, თავმომწონედ წამოდგა სამფეხა სკამიდან, წიგნი სათუთად ჩამოიღო, მოქნილი ხბოს ტყავი ფრთხილად გადააძრო, მოწიწებით დააცქერდა და ამაყად მიმართა: „ეს წიგნი, ჩემო ბატონო, შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანია“. ყოველგვარ ჭირ-ვარამს ეს მიქარვებს, ყოველ ლხინს ამით ვიწყებ. ეს არის ჩემი განძიცა და ნუგეშიც.

— ალბათ დედაშენის ნამზითვია.

— დედის მზითევი არ არის, მაგრამ სასიქადულო კაცის ნაჩუქარია,

— ვინაა ის სასიქადულო კაცი?

— აკაკი წერეთელი ხომ გაგიგონია?

— აკაკი წერეთელი როგორ არ გამიგია, მაგრამ, შენ საიდან იცნობ?!—ცოტა არ იყოს გაოცებით წამოიძახა სტუმარმა.

— რა გაგიკვირდა, შე კაი კაცო! რა ვუყოთ, რომ პოეტია, ისიც ჩვენნაირი კაცია. ალბათ ფიქრობ, ასეთმა სახელოვანმა კაცმა გლეხს თავი როგორ გაგიყადრაო, მაგრამ როცა ეგ წიგნი მაჩუქა, ორივენი ჩემი თანდილას ტოლები ვიქნებოდით.

— ქართლელი კაცი იმერეთში რამ გადაგაძევა?

— ავბედობამ... დედ-მამა შავმა ჭირმა ამომიწყვიტა, მეც ძლივს გადავურჩი სენს. ახლოს აღარავინ გამიკარა. უპატრონოდ დარჩენილი ობოლი ისევ ქვრივმა მამიდამ შემიბრალა, რომელიც იმერეთში როსტომ წერეთლის შინაყმაზე იყო გათხოვილი.

პირველად ყველაფერი მეუცხოვა, დავდარდიანდი, ყველას გავურბოდი, უცხო ყმაწვილს წერეთლიანთ შინაყმების ბავშვები დამცინოდნენ, მატირებდნენ. მამიდაჩემი თუ კი ვინმეს თვალს მოჰკრავდა, ქორივით დააცხრებოდა და გულიანად მიაწყევლიდა: რა გინდათ მაგ ბალღისაგან, თქვე შავდღისანო, ამას თავის სიობლეც ეყოფაო. ხომ გაგიგია: მამიდას მამის სუნი ასდის, დეიდას—დედისაო.

დრო გავიდა, ყველას შევეჩვიე, ყველა შემეჩვია. აღარც ვის ვეუცხოვებდი, აღარც ვინ მეუცხოვებოდა. განსაკუთრებით პატარა ბატონიშვილი შემიყვარდა. იმნაირი ალალ-მართალი, მალხაზი და თანატოლთა მოყვარული არავინ მინახავს ჩემს სიცოცხლეში. კაცს სულს არ დაუჭერდა. თვითონ პერანგს გაიხდიდა და შენ ჩაგაცმევდა. ბატონების ლხინის თავიც ის იყო და ყმებისაც. მისი ქილიკი ენა ვის არ სწვდებოდა: ხაბაზს, მეჯინიბეს, მოურავს, მღვდელს. როცა კი მათი ეზოს მოძღვარს—მამაო ქრისტეფორეს დავინახავდი, ბატონიშვილის შაირი გამახსენდებოდა და სიცილით ვიგუდებოდი.

აქამდე დამახსოვდა ის შაირი:

„ქრისტეფორე ბერიაო ცოდოს გაუბერიაო,
წვერები ჩვენს ვაცს მიუგავს, განზე გაუშვერიაო“.

დღისით მისი სიცილ-ხარხარი ცასა სწვდებოდა, საღამოთი კი, როცა სამოახლოში ზღაპრობა დაიწყებოდა, ხმას არავის ამოაღებინებდა. ძალიან უყვარდა მოსმენა. ხანდახან მეც ვყვებოდი ჩვენებურ ზღაპრებს. ის კი წიგნებს მიკითხავდა; ბოლოს, როცა წერა-კითხვაც მასწავლა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. სადაც კი გავივლიდი, ყველგან და ყველაფერზე ასოებს ვწერდი—სიპ ქვაზე, ხეზე, მტვრიან გზაზე და თოვლზეც კი მისი ნაჩუქარი „ყარამანიანი“ დღე და ღამე უბეში მედო.

ბევრი წიგნები ჰქონდა, მაგრამ, განსაკუთრებით „ვეფხის ტყაოსნის“ მოსმენა მიყვარდა. ეს კარგად იცოდა ბატონიშვილმაც. ალბათ ამიტომ იყო, რომ, მშობლებმა როცა ქალაქში წაყვანა დაუპირეს, წინა დღით ჩემთან მოირბინა, ეს წიგნი გადმომცა და მითხრა: აჰა, ჩემო მახარე, ეს წიგნი შენ გქონდეს ჩემს სახსოვრად. მეც სასოებით ჩამოვართვი და, როცა ჩემს ჩანაცრებულ, მამისეულ კარ-ფუძეს დავუბრუნდი, ეს ძვირფასი სახსოვარიც უბეში ჩახუტებული ჩამოვიტანე და მას შემდეგ ხელიდან არ დამიგდია. ეს ხბოს ტყავიც საგანგებოდ ამოსაფარველად მოვქენი და გადავაკარ.

— ახლა რომ ნახო ის ბიჭი, ვინც ეგ წიგნი გაჩუქა, იცნობ?

— ოჰ! ახლა რაღას ვიცნობ, მის შემდეგ კაი სამოცი წელი გავიდა. ისიც ჩემსავით ჰაღარით იქნება დათოვლილი. დრო იყო, ერთმანეთი რომ არ გვენახა, ცა გვიწითლდებოდა. მაგრამ ახლა, როგორც დიდ პოეტს, იქნებ ჩემს შემჭვარტლულ ქოხში შემოსვლა შეეთაკილოს კიდეც. ბევრჯერ კი მინატრია მისი შორიდან დანახვა მაინც.

— თუ მართლა გულით გაიხარებ, ჩემო მახარე, მე ისეთი ნატვრისთვალი მაქვს უბეში, ვინატრებ, და ის შენი აკაკი წერეთელი იმ წუთს შენი ბუხრის წინ გაჩნდება.

— თუ ჩემს ღარიბ ქოხში დამის გათევა გეთაკილება, ბურ-ბარილზე მაინც დამეწვიე, სახლ-კარი დამილოცე, ჭერი გამიმხიარულე.

— შენ კი გაიხარე, ხუმარა კაცი ყოფილხარ. შენს პირს შაქარი, ნეტავ ახლა „ამინმა“ მაინც ჩამოიაროს!

— მე თვითონა ვარ შენი ამინიც, ნატვრისთვალიცა და შენი აკაკიც, ჩემო მახარე, ამ ზღაპრების დევნაში სად მოგაგენი!?

— ნუთუ მართლა შენა ხარ?!—წამოიძახა მახარემ და ისე წამოიმართა, გეგონებოდათ ამ სახლში ვეღარ ეტევა და ჭერი მხრით უნდა ასწიოსო.—ვაი შენს მახარეს, როგორ დავბრმავდი!, როგორ ვერ გიცანი!.. მოლანდება ხარ თუ მართლა აკაკი?

— ვეღარც მე გიცან, ჩემო მახარე. მადლობა ღმერთს, რომ ბედმა გაგვწირა და ცხოვრების აისს შეხვედრილი მეგობრები ცხოვრების დაისს კიდევ შეგვყარა... მადლობელი ვარ ჩემი მზიანი ყრმობის გახსენებისათვის. ქართული კერის გაცოცხლებისათვის, ამ მადლიან მიწაზე დაღვრილი ოფლისათვის, რის ნაყოფსაც ახლა შევექცევით შენს ალალ სუფრაზე.

დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს პოეტი და მეზღაპრე, დიდხანს იდინა მათ თვალთაგან სიხარულის ცრემლმა.

ყველამ დაიძინა, მაგრამ მახარეს და აკაკის როგორ დაათენდათ შემოდგომის გრძელი ღამე, ვერ გაიგეს. ათასი ვინმე მოიგონეს, ათასი რამე გაიხსენეს.

ბუხარში მუხის კუნძები ჩაიწვა, მაგრამ კი არ ჩანავლდა, ჩანაღვერდლდა. დილა სისხამზე მეგობრები შუბლის გასაგრილებლად ეზოში გამოვიდნენ. პოეტი გადაკამკამებულ ფირუზ ცას შეაჩერდა; მეზღაპრე გლეხმა კი ცვარნამდაყრილ ზურმუხტ მიწას დახედა.



დიდი პოეტის პატარა მეგობრები

1904 წლის ნოემბერში აკაკი ავად გახდა. მან თითქოს სიკვდილის მოახლოება იგრძნო. ქართული გაზეთები ამის გამო მაშინვე ალაპარაკდნენ.

მრავალი დეპეშა და გამამხნევებელი წერილი უწყვეტ ნაკადად მიდიოდა პოეტის მისამართით.

აკაკიმ ერთგვარი სულიერი მხნეობა იგრძნო. მან დაწერა მეტად მგრძნობიარე ხასიათის ლექსი სათაურით „უკანასკნელი“, რაც გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1904 წლის 12 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა.

პოეტს მგრძნობიარე, გამამხნევებელი ლექსები გაუგზავნეს მისმა პატარა მეგობრებმა: ეინმე მოსწავლემ (რომლის გვარი და სახელი, სამწუხაროდ უცნობია) და ტასო იურკევიჩმა. ეს ლექსები იმდენად გულითადი იყო, რომ მაშინვე გამოქვეყნდა იმავე გაზეთში, სადაც აკაკის ლექსი დაიბეჭდა.

პასუხად აკაკის

გულს ნუ გაიტეხ, მოხუცო,
ფიქრს ნუ ეძლევი მწარესა.
ნუ აატირებ შენს შემქმნელს
ზურმუხტ-ფერს ტურფა მბარესა.
სიმებს ნუ შეხწყვეტ ჩანგურსა,
ნუ მოშლი მისსა ქედრასა;
სული და გული აჩვევია
შენს ტკბილს, ხან მწარე მღერასა.
არ დაგვეკარგვის ნაყოფი
მისი, რაც დაგთესია—
ვარდი რომ ვარდზე ამოვა
—ბუნების რიგი-წესია...
აღსდეგ, მხცოვანო! მოპფინე
კვლავ ია-ვარდი სულს და გულს
და მიესალმე მომავალს
ახალ ცხოვრების „გაზაფხულს“.

მოსწავლე

აკაკის

გული უზომო ტანჯვით მეკვრება,
თვალთაგან მცვივა მდუღარე ცრემლი,
მას შემდეგ, რაც რომ გადავიკითხე
მე შენი ლექსი „უკანასკნელი“.
რამ დაგაღონა, გმირო მგოსანო?
რამ შეარყია ეგ მტკიცე გული.
არა ერთგვარი ჭირის მნახველი,
რისგან ხარ აგრე შეშინებული?
კვლავ შენებურად უმღერე მამულს
ახალი ნათლის ხხივით შემკობილს,
სადაც შეხედავ შეკავშირებულს
შენს თანამოძმეს და მამულიშვილს.
მანამდისინ კი, სულის მკურნალო,
ნუ დაგვაჯერებ „უკანასკნელითო“,
გამამხნევებელ შენგან მოძღვრებას
სულ სხვა „მეედით... ველით და ველით!

ტასო იურკევიჩი.

ამ პატარა გოგონამ საყვარელ მგოსანს ისე კარგად წაუკითხა ლექსი, რომ აკაკიმ აკოცა და ხელში აიყვანა. დღეს ეს გოგონა ცნობილი მსახიობი გოგუცა კუპრაშვილია.

ასე გაამხნევეს დიდი პოეტი მისმა პატარა მეგობრებმა.

აკაკი მალე გამოჯანმრთელდა და ამის შემდეგ კიდევ ერთი ათეული წელი უანგაროდ ემსახურა თავის ქვეყანას.

ვ. სიდამონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკაბაძეები
აკაკის ცხოვრებიდან

ოროველა

აკაკი გაჯავრებული იყო. თბილისიდან სხვიტორში ახლად დაბრუნებულს გაეგო, რომ მოჯამაგირეს, დათია ბოჭოიძეს, „მოურავობა“ დაეწყო და გლეხებისაგან გადახახადი მოეკრიბა:

— შენი ბრალია, ანა,—უსაყვედურებდა ეგი თავის უფროს დას,

— არ უნდა მიგეცა ნება, ან და, თუ შენს უკითხავად გააკეთა ეს საქმე, ჩემთვის შეგეტყობინებია, მე მოვუვლიდი მაგას... ნატალია, დამიძახე ერთი დათიას,— გადაბძახა აკაკიმ ფანჯრიდან.

— ახლავე, ჩემო ბატონო,—მოისმა ქვევიდან.

ცოტა ხნის შემდეგ კარები გაიღო და შემკრთალი დათია გამოჩნდა.

შეკაღარავებული იყო, სქელ წარბიანი. შემპარავი გამოხედვა ჰქონდა. ცბიერი ღიმილი უკრთოდა თხელ ტუჩებზე.

მრავალ წელს სასახლეში ნამსახური, მიჩვეული იყო აკაკის ნიადაგ გარეთ ყოფნას. ოჯახის საქმეს თავის ნებაზე ატრიალებდა. მოხუცი ანა აბა რას გაუგებდა გაქნილ მოხამსახურეს, რამდენი სიმინდი მოიწია, რამდენი ყურძენი დაკრიფა, რამდენი ჩაახხა ქვევრებში? ახლა ესეც არ უკმარია დათიას, გადასახადის აღებაც დაუწყია აკაკის ნაყმევ გლეხებისაგან.

...აკაკიმ მაგრად გაჯორა დათია, თუმცა, სავსებით ვერ გაიმეტა წლობით ნამსახური და შეჩვეული მოხუცი. ბოლოს მაინც სილბო შეეტყო მის რისხვას: „ნუ შემომიჩნდი, დათია, ნუ შემაძულე ჩემს მშობლიურ ჭერქვეშ მოსვლა!“ დათია მოჰყვა თავის მართლებას, გასაწყლდა, ცოლ-შვილი გაიწყვიტა, ხატ-რჯული იფიცა... აკაკი უკვე აღარ უგდებდა ყურს.

პაუზის შემდეგ მან ცერად გახედა დათიას და ხაუვედურით აღსავსე, ნელი, შთამაგონებელი ხმით უთხრა:—გლეხი ხარ და გლეხის სიმწარეს ნუ დაივიწყებ. გახსოვდეს, მუშა რომ ოროველათი სამჯერ ძირს შემოუთოხნის სიმინდს, ის იმას უნდა დარჩეს, როგორც მისი ოფლით მონაგარი!

არჩვი

ერთხელ სხვიტორელმა გლეხმა სანდრო არჩვაძემ და რამდენიმე მისმა მეზობელმა ტყეში ლამაზი არჩვი დაიჭირეს. გადაწყვიტეს საჩუქრად მიერთმიათ აკაკისთვის.

ასეც მოიქცნენ. ნასადილევი იყო, გლეხები რომ აკაკის ეზოში შევიდნენ. მოხუცი პოეტი სახლის წინ გამოსულიყო და ეეირნობდა.

მიესალმნენ, მოახსენეს: ეს არჩვი თქვენთვის მოგვირთმევია, ჩემო ბატონო.

აკაკიმ დიდი მადლობა გადაუხადა მეზობლებს. მიიწვია ოქვე ხის ძირას. დასხდნენ, იმუსაიფეს. ხაკმაო ხანმა განვლო ხაუბარში. ბოლოს ხტუმრები ადგნენ, წასვლა დააპირეს.

აკაკიმ არჩვს გადახედა. ის კვლავ მაგრად ეჭირა ხელში სანდროს...

— ეგ არჩვი, ჩემო სანდრო, აგერ ეზოში გაუშვი,—თქვა მან ღიმილით,—თუ სამჯერ მოიხედა უკან, მაშინ აღარსად წავა და თუ ერთხელ მეტად არ მოიხედა, მაშინ კი აღარ დაბრუნდება, გაიქცევა ნამდვილად...

გლეხები მიხვდნენ, რაზაც ნიშნავდა აკაკის სიტყვები. მათ კარგად იცოდნენ მისი კეთილი გულის ამბავი, იცოდნენ, რომ მას ადამიანის მსგავსად ეცოდებოდა ყოველი სულდგმული; ისიც იცოდნენ, თუ არჩვს გაუშვებდნენ ხელიდან, უკან აღარ დაბრუნდებოდა არასოდეს. მაგრამ რაღა გაეწყობოდა, ასე ხურდა საუვარელ მოხუცს.

სანდრომ ხელი გაუშვა ნადირს. იმან ერთი ისკუპა განზე, წამით მოიხედა და მერე ისეთი სისწრაფით გაქანდა ტყისაკენ, რომ ერთი წუთის შემდეგ მისი ასავალ-დასავალი აღარ ჩანდა.

ხაჭაპური

ერთ ხაღამოს აკაკი თავის მეზობელს ა. წერეთელს ეხტუმრა ხაჩხერეში. ფართო აივანზე ხტუმრებმა კარტი ითამაშეს, შემდეგ ივახშმეს. ხაუბარში დრო შეუმჩნევლად გავიდა. ღამით მახპინძლებმა აკაკი შინ არ გაუშვეს. ცალკე ოთახში დაუგეს, მოახვენეს.

დიახალისძა ბავშვებს ხასტიკად აუკრძალა აკაკის ოთახში შესვლა, რომ პოეტი არ შეეწუხებინათ და მისთვის ძილი არ დაეფრთხოთ.

მაგრამ დილით ერთი ბავშვი მაინც შეიპარა მგოსნის ოთახში. აკაკის უკვე ფაღვიძებონა. მან ბავშვი მოიხმო. მოეფერა, მაგიდიდან ხაჭაპურის ნატეხი აიღო და შესთავაზა.

ბავშვი ნასიამოვნები წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა და თავისი ძმა მოიყვანა. აკაკიმ იმასაც მიუალერსა და მისცა ხაჭაპური. ბავშვები წავიდნენ, მაგრამ პირველი ბავშვი კვლავ გამოჩნდა კარებში და აკაკის უთხრა: ძია, მე კიდევ ერთი ძმა მყავს. მართლაც, უკან მას პატარა ბიჭიკო მოჰყვებოდა.

აკაკიმ გულიანად გადაიხარხარა. ის კვლავ გაუმასპინძლდა ბავშვებს.

საუზმის დროს მან სიცილით უამბო მასპინძლებს იმ პროტექციის შესახებ, რომელიც მათმა უფროსმა პირმშომ გაუწია თავის უმცროს ძმებს. მერე სამივე ბავშვი მუხლებზე დაისვა და დიდხანს ართობდა მათ ლექსებით და არაკებით.

ეკიზოდები აკაკის ცხოვრებიდან

შვილის ნუკრი

ერთხელ აკაკის მოსამსახურე ნატალია მაჭარაშვილი ტყეში წავიდა ქალაკოდას (ფხალის) მოსაკრეფად; შვლის ნუკრს წააწყდა, ქვედატანი გაიხადა, თავზე გადააფარა, დაიჭირა და შინ წამოიყვანა.

აკაკი მაშინ არ იყო სხვიტორში.

ეს ამბავი სოფელმა გაიგო. უცნაური და საარაკო იყო ასეთი ნადირობა.

მეორე დღეს, დილით განთიადზე კაცი მოვიდა, თქვა: მე თავადმა დიმიტრი წერეთელმა გამომგზავნა, ჩემს ტყეში ნადირობის ნება ვინ მოგცა, რომ შველი დაგიჭერიათო, ახლავე ნუკრი გამომიგზავნე, თორემ შავ დღეს დაგაყენებო.

ნატალია მაგრად დაუხვდა:

— წადი და ასე უთხარი შენს ბატონს: მობრძანდი და იარაღი მიირთვი, რითაც მე ის შველი ვინადირე, ნუკრს კი ვერ დაგანებებო!

კაცი გაწბილებული წავიდა, მაგრამ დიმიტრი წერეთელი ჯიუტი ადამიანი იყო, აგრე ადვილად არ დასთმობდა თავის უფლებებს.

შვლის ნუკრი წაიყვანეს.

ჩქარა ამის შემდეგ აკაკი ჩამოვიდა სოფელში.

ნაწყენმა ნატალიამ ყველაფერი უამბო ბატონს. აკაკიმ ბევრი იცინა ნატალიას პასუხზე, ნუკრთან ერთად შენი იარაღიც უნდა გაგეგზავნა დიმიტრისათვისო.

მეორე დღეს ბიჭს დაუძახა:

— წადი, დიმიტრი წერეთელს მოახსენე, შენი ნახვა მომენატრა, მობრძანდი, თან შენი ნუკრი მოიყვანე-თქო:

დიმიტრი მართლაც მოვიდა. მის ბიჭს ატატებული ნუკრი მოჰყავდა.

აკაკი ბავშვივით მიეხალისა ნადირს. პატარა ზარი და ეუვნები შეაბმევინა კისერზე, ეთამაშებოდა, უკან დაჰყვებოდა ეზოში.

მეზობელს გაუმასპინძლდა. წასვლისას სთხოვა ერთი დღით დაეტოვებინა მასთან ნუკრი. დიმიტრი დასთანხმდა.

აკაკიმ გული იჯერა პატარა, უმწეო ნადირის ფერებით.

ერთი დღის შემდეგ, როცა ნუკრი მაგრად დადგა ფეხზე, აკაკიმ თავის მსახურს, დათია ბოჭოიძეს უხმო:

— წადი, ჩემო დათია, ეს ნუკრი პატრონს მიჰგვარე, თან უთხარი, კარგად მოუაროს, როცა გაიზრდება, ეზო შემოუღობოს, თავისთვის ითამაშოს ნადირმა.

გავიდა ხანი.

ერთხელ აკაკიმ იკითხა, როგორ არის ნეტა დიმიტრის შველიო.

— შველმა თქვენი ჭირი წაიღო, ბატონო,—მოახსენა დათიამ,— აივნიდან გადამხტარა და დამტვრეულა...

მიხვდა აკაკი, რასაც ნიშნავდა შვლის გადახტომა. წყენით ხელი ჩაიქნია და ოთახში შევიდა.

წარწერა ხიგზე

ერთხელ აკაკიმ თავისი მეგობრების—ბეჟან და ნიცა წერეთლების ვაჟს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო აჩუქა („კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან". შედგენილია ქუთათელიძისაგან. რვ. 1. თბ. 1900 წ.).

პოეტმა ასეთი წარწერა გაუკეთა:

„ჩემო დათიკო!

ვისაც თავისი სამშობლო არ უყვარს, არ შეუსწავლია და არ ითვალისწინებს, ის კაცი არ არის.

შენი ბიძია აკაკი".

ეს წიგნი პოეტის წარწერით, როგორც ძვირფასი რელიქვია, ამჟამად სხვიტორში, აკაკის მუზეუმშია დაცული.

მეტეხის ციხის ტუსაღი

აკაკი თავგამოდებით იბრძოდა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. მისი ბასრი კალამი შიგ გულში ხვდებოდა ჩვენი ხალხის მტრებსა და ორგულებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი ამბავი:

1901 წლის 11 თებერვალს გამოვიდა აკაკის ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი «ხუმარა». მაგრამ იგი პირველი ნომრის გამოსვლისთანავე აკრძალა მეფის ცენზურამ. ამის მიზეზი კი შემდეგი ამბავი გახდა: ჟურნალის პირველ გვერდზე მოთავსებული იყო თბილისის გუბერნატორის რაუშ-ფონ-ტრაუნბენბერგის კარიკატურა, შესრულებული მუშა-მხატვრის გიგო ზაზიაშვილის მიერ. სურათზე რაუში გამოყვანილი იყო ვირად, გუბერნატორის მუნდირით. მასთან ეხატა თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლი ბაგრატიონ-დავითაშვილი, რომელიც გულმოდგინედ ლესავდა ნიშადურს, რათა ვირ-გუბერნატორისათვის ამოესვა და ჩვენი ქვეყნიდან გაეძევებინა; იქვე გამოსახული თბილისელი კინტო გაოცებით შესცქეროდა ამ სურათს. კარიკატურას მიწერილი ჰქონდა აკაკის სატირული ლექსი:

«დიდყურაანთ ყროყინას ჩვენები ეჯავრება,
საიდანაც მოსულა იქით მიეჩქარება.
და ნიშადურს ულესავს გულმოსული მარშალი,
რომ აქ აღარსად დარჩეს იმ ვირის გზა
და კვალი.
კინტო კი გაოცებით შესცქერის ამ ამბავს.
და ხმამაღლა იძახის: ამოუსვათ რა უშავს.»

სახელმწიფო მოხელის ასეთი კადნიერი გამასხარავება ძვირად დაუსვეს პოეტს: ჟურნალი აკრძალეს, ხოლო მისი რედაქტორი აკაკი, 1911 წლის 16 თებერვალს დააპატიმრეს. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს საქართველოს სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილი: «როცა აკაკი ციხეში მიიყვანეს, მთელი ციხე აფორიაქდა... პატიმრები, განურჩევლად მათი დანაშაულის ხასიათისა, დემონსტრატიულად გამოვიდნენ ეზოში, ჰყვიროდნენ, მთელ ციხეს აზანზარებდნენ. ეს პროტესტი სამხედრო გუბერნატორის ტიმოფეევის ყურამდეც მივიდა. კანცელარიის გამგის ვასილევის მოხსენებისთანავე ტიმოფეევმა მაშინვე გასცა განკარგულება აკაკის განთავისუფლებისა. ქაღალდი დაბინდებისას მოვიდა ციხეში. აკაკიმ არ მოისურვა ღამით გამოსვლა ციხიდან: «არა. ნუ მაწუხებთ, ამაღამ მე აქ დავრჩები და ხვალ დილით წავალო», და მეორე დღეს მართლაც დიდის ზეიმ-ზარით გამოისტუმრეს ტუსაღებმა პოეტი.

მსახიობმა მიხეილ უვარელაშვილმა აკაკის დაუვიწყარი სახე შექმნა ფილმში: „აკაკის აკვანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შევქმენი აკაკის სახე

შვიდი წლის ვიქნებოდი, როდესაც აკაკი პირველად ვნახე, ისიც ერთი თვალის მოკვრით, როდესაც ის სხვებთან ერთად ეტლიდან გადმოვიდა და სახაზინო ოპერის თეატრში შევიდა, რომელიღაც გამოჩენილი მსახიობის ბენეფისზე.

აკაკის გამოჩენას ოპერის თეატრთან თავმოყრილი ხალხი ტაშით და შეძახილებით შეეგება.

— აკაკი მოდის! აკაკი მოდის!—გაისმოდა სიყვარულის გამომხატველი ხმები.

— აი, შვილო, აკაკი!—რაღაც გულში ჩამწვდომი ხმით მითხრა დედამ და ხელში ამიყვანა, რომ უფრო კარგად დამენახა დინჯად მიმავალი, თავაწეული, თმათეთრი აკაკი.

ოპერის თეატრთან აკაკის შემთხვევით ნახვა არასდროს არ მავიწყდებოდა. რაც მე მაშინ ვნახე, გონებაში აღმებეჭდა და სოფელში დაბრუნებისთანავე შევკრიბე უბნის გოგო-ბიჭები, დავამწკრივე ჩვენი საგვარეულო მარნის წინ და «ბენეფისი» წარმოვადგინე. ბებიას მოვპარე თეთრი მატყლის ფთილები, გავიკეთე წვერები, ხუჭუჭ თმებში დავიმაგრე მატყლი და დინჯი ნაბიჯით, თავაწეული, ბავშვების ტაშის გრიალსა და ჟრიამულში მედიდურად შევედი ჩვენი მაღალი მარნის ღრიჭინა კარებში.

ათი წლის ვიყავი და კარგად მახსოვს თუ როგორ აბარებდა ქართველი ხალხი მამადავითის მთას საყვარელ შვილს. ეს იყო მეორე შეხვედრა აკაკისთან, და ესეც შორიდან, ერთი თვალის მოკვრით...

აკაკის სიკვდილის შემდეგ უფრო გამიძლიერდა ინტერესი მისი სურათების ხილვისა და ლექსების დამოუკიდებლად კითხვისა. არ ვტოვებდი ჟურნალებს, გაზეთებს, სადაც მოთავსებული იყო მისი სურათი, ამოვჭრიდი და საკუთარ ალბომში ვაწებებდი ხოლმე.

...გავიდა ხანი, და კარგა ხანიც.

ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით, ქუჩაში შევხვდი, კინორეჟისორს კ. პიპინაშვილს. საუბარში გამოირკვა, რომ იგი დგამს «აკაკის აკვანს». ყველა წინამოსამზადებელი მუშაობა უკვე ჩატარებულია, ტიპაჟი შერჩეულია, ხოლო აკაკის როლზე შესაფერი მსახიობი ჯერ კიდევ ვერ მოიძებნა.

ჩვეულებრივ მეგობრულ საუბარში მე მას გავახსენე, რომ აკაკის სიბერეში ტენორისებური ხმა ჰქონდა; ეს ეტყობა გრამაფონის ფირფიტებზე ჩაწერილი ლექსების კითხვის დროს. რეჟისორს სრულიად უნებურად წავუკითხე ლექსი «განთიადი», სწორედ ისე, როგორც კითხულობს თვითონ აკაკი.

რეჟისორ კ. პიპინაშვილს ჩემთვის თვალი არ მოუშორებია, პატარა პაუზის შემდეგ ღიმილით მითხრა:

— ორშაბათს მობრძანდით ჩემთან, კინოსტუდიაში და გრიმი გაიკეთეთ.

— ვისი?—ვკითხე განცვიფრებულმა.

— მოხუცი აკაკის.

— პატივცემულო კოლია, მე რა მაქვს საერთო აკაკისთან?...

— ბევრი რამ. მე თქვენს სახეზე დავინახე აკაკის სახის ნაკვთები, როდესაც თქვენ ლექსს კითხულობდით...

ორშაბათს, ოთხი საათის დაძაბული შემოქმედებითი შრომის შედეგად, გრიმიორ-მხატვარმა, გრიგოლ მხეიძემ, ჩემს სახეზე შექმნა მოხუცი აკაკის ცოცხალი პორტრეტი.

გრიმის პორტრეტული მსგავსების შესამოწმებლად და საერთო კონსულტაციისათვის მოიწვიეს. სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. მან ნახა ჩემი გრიმი და გაოცდა ასეთი მსგავსებით, ათამაშებულ ქვედა ტუჩზე თითები მიიდო და თქვა:

— მე ვხედავ ცოცხალ აკაკის. უკეთესი მსგავსება ვერც წარმომიდგენია. დიდად შეაქო გრიმიორი გრიგოლ მხეიძე.

ჩემს წინაშე იდგა მხცოვანი აკაკის სახის შექმნის რთული ამოცანა: ის განსახიერებული უნდა ყოფილიყო სწორედ ისე, როგორც ხალხს წარმოედგინა მთელი თავისი სიდიადით, როგორც პოეტი ლირიკოსი, მოაზროვნე. ჰუმანისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის საყვარელი მწერალი. აქ უკვე საკმარისი არ იყო მარტო გარეგნული, პორტრეტული მსგავსება, იგი უნდა შევსებულიყო პოეტის შინაგანი ბუნების გამოვლინებით. ის უნდა ყოფილიყო უაღრესად ადამიანური, უბრალო, გულისხმიერი.

ამიტომ ღრმად ვსწავლობდი მის პიროვნებას. არ დამიტოვებია ნაცნობ-მეგობრები, ყველას ვთხოვდი მოეტანათ ჩემთვის აკაკის უცნობი სურათი და, როდესაც ვნახავდი რაიმე ახალს, ვაკვირდებოდი სახის გამომეტყველებას, ჯდომას, დგომას, ტანის მოძრაობას. აკაკის შესახებ ვეკითხებოდი ყველა მის თანამედროვე მწერალს, საზოგადო მოღვაწეთ: შ. დადიანს, ი. გრიშაშვილს, ი. იმედაშვილს, ა. წუწუნავას, აკაკის ახლო მეგობარს—დავით ფაღავას. ისინიც არ მზარდებოდნენ და მიზიარებდნენ, რაც მათ ახსოვდათ. მაგალითად, მათგან გავიგე, რომ აკაკის, ქუჩაში სიარულის დროს, თავი მაღლა ეჭირა. არა ქედმაღლობით, არამედ მარცხენა თვალის ქუთუთოს სიდამბლის გამო; თავს მაღლა სწევდა, რომ უკეთ დაენახა. ამ ერთმა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანმა დეტალმა, ბევრი რამ მომცა აკაკის სახის სრულყოფისათვის.

მხედველობიდან არ გამომპარვია ისიც, რომ ზედმიწევნით შემესწავლა მისი ხმა. მოვძებნე გრამაფონის ფირფიტებზე ჩაწერილი ლექსები, გადავწერე ფირზე და ყოველდღე ვუსმენდი, რომ კარგად დამეჭირა მის მიერ ლექსის წაკითხვის თავისებური იერი. ეს კი დიდად დამეხმარა ფილმის გახმოვანების დროს ამ რთული ამოცანის გადაჭრაში.

ყოველგვარი სიძნელეების გადალახვაში დიდად მეხმარებოდა რეჟისორი კ. პიპინაშვილი.

სადადგმო ჯგუფი საგანგებოდ შერჩეული, მაღალკვალიფიციური პირებისაგან შედგებოდა: სცენარის ავტორები იყვნენ: ლევან ასათიანი და კარლო გოგოძე, მხატვარი—დავით კაკაბაძე, კომპოზიტორი—ალექსი მაჭავარიანი, ოპერატორი—ფ. ვისოცკი და თვით დამდგმელი რეჟისორი კ. პიპინაშვილი. ამ ჯგუფთან სახალისო იყო მუშაობა, მით უფრო ჩემისთანა ახალბედასათვის: მე ვიდექი ისეთი კინოხელოვნების ოსტატების გვერდით, როგორიც იყო ქართული კინომატოგრაფიის ვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე, რომელმაც ამ ფილმში თავისი ნიჭით ერთხელ კიდევ იელვა და შექმნა აკაკის აღმზრდელი გლეხი ქალის ნამდვილი, დაუვიწყარი, განუმეორებელი სახე. ანდა ვის დაავიწყდება თამარ ციციშვილი, ეს მშვენიერი მშობელი აკაკისა, ჭეშმარიტი ქართველი დედა: ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები—ლეილა აბაშიძე, ედიშერ მაღალაშვილი, ნოდარ კანდელაკი, შოთა ქოჩორაძე: ყველაზე ნორჩი მსახიობი ომარ ჩიტაია, რომელმაც დიდი უშუალობით განასახიერა ყრმა აკაკი.

პირადად მე, დღემდის კიდევ ვღებულობ ეოა მარტო ნორჩი მაყურებლის, არამედ მოზრდილების წერილებსაც.

აი, ერთი მათგანი:

«ვნახეთ «აკაკის აკვანი». სულგანაბული მივდევდით კადრების ცვლას. ეკრანზე აკაკის იუბილეა... აი, წამოდგა სათნო, თმათეთრი მოხუცი, სწორედ ისეთი, როგორც ჩვენს სახელმძღვანელო წიგნებშია დახატული... ჩვენი წარმოდგენა დიდებულ მგოსანზე და თქვენს მიერ შექმნილი სცენიური სახე ისე დაემთხვა ერთმანეთს, რომ ჩვენ დაგვიწყდა, რომ ეს იყო ეკრანზე და არა ნამდვილად!»

აკაკის სახე განვასახიერე სხვა კინოფილმებშიაც. («ეთერის სიმღერა», «ასე იწყებოდა მაიაკოვსკი», სასწავლო ფილმი: «აკაკი»).

ამას გარდა, მოქანდაკე ვ. თოფურიძემ ჩემგან თიხაში გამოძერწა აკაკის სამმეტრნახევრიანი სიმაღლის მონუმენტი, რომელიც სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე დგას ილია ჭავჭავაძესთან ერთად.

მ. ყვარელაშვილი,

საქ. სს რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი.

აკაკის კუთხის მკვიდრი ვარ

ნოდარ მამანაძე

ჩიხურას ახლოს ვიზრდები,
ტკბილად ჩხრიალებს ჩიხურა,
და ზემოთ მთები მაღალი
ღრუბლის ქუდს ხშირად იხურავს.
თავს „მოდინახე“ დამყურებს,
როგორც წინაპრის აჩრდილი.
ციხის ციცაბო კლდეებზე
ხშირად ავრბივარ არჩვივით.

ხოდაბუნებზე ყვირილა
მიჰყვირის, მიაქვს მთა-ბარი,
ყანა შრიალებს, რა ყანა,
მისი ტალღებით ნაბანი.
აქ იზრდებოდა აკაკი
გლეხის პატარა ბიჭებთან,
ლახტს თამაშობდა ჩემსავით,
თევზებს ჩემსავით იჭერდა.

აქ იყო, მუდამ აქ იყო,
რა შორს წავიდა აქედან!
აქ ბულბულივით ამღერდა,
აქ ბულბულივით დაბერდა.
აქ დიდ მომავალს გახედა,
აქ გაგვიცოცხლ—ა წარსული,
აქ დაგვიტოვა „სულიკო“,
დღეს საზღვარს იქით გასული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის სოფლელი ბავშვები

სკოლის ეზოში

სხვიტორის შვიდწლიანი სკოლა მთის ფერდობზეა გაშენებული, როგორც სახლების უმეტესობა სხვიტორში. სკოლას აქვს ეზო: ეზოს იქით ტყეა. ტყის აქეთ საცდელი ნაკვეთი, სადაც უთესიათ: სიმინდი, ლობიო, კომბოსტო, პამიდორი და კარტოფილი. ნაკვეთი სანიმუშოდაა მოვლილი. აქვთ მწარე ვაზისა და კაკლის სანერგე.

პიონერები სკოლის ეზოში ტრიალებენ, უვლიან ყვავილებს, ნარგავებს, აპურებენ მტრედებს.

ახლა ქლიავიც მწიფეა და მსხალიც. ვაშლს სიწითლე შეპპარვია, თხილსაც ბლომად ასხია.

ზოგი მოსწავლე შაბათობაზე დადის. ზოგიც კოლმეურნეობაში მუშაობს. დემური ზაბახიძე, ელგუჯა გოშაძე, ლამარა კაპანაძე შრომადღეების სიმრავლით ამაყობენ.

ნორჩ მიჩურინელთა წრის წევრები ფრიდონ კიკნაველიძე და ლილი ჭიღლაძე ყვავილებს უვლიან. სხვებიც საქმეს აკეთებენ. სკოლის ეზოში მოსწავლეების ხმაური ისმის, თუმცა ახლა აგვისტოს თვეა: არდადეგებია.

„ამინდის ამბავის“ ინოლვით

ამ დღეს ყველაზე ადრე კონსტანტინე ომიაძე და ლამარა კაპანაძე მოვიდნენ, მერე სხვებიც მოჰყვნენ. ჯერ ბაღი შეათვალიერეს, მერე ლობიოს ჩაუარეს. ლამარამ საწერკალამი მოიმარჯვა, კონსტანტინე გაიყოლა და გეოგრაფიის მოედანს მიაშურეს.

ჯერ ქარის მიმართულება გაარკვიეს, შემდეგ:

— ნალექის რაოდენობაც ჩავინიშნოთ,—თქვა კონსტანტინემ.

— მართალია,—დაეთანხმა ნათელა.

— ოღონდ გუშინდელივით არ მოგვიდეს—მცირე წვიმაო და კარგა გვარიანად კი იწვიმა.

ბავშვები იცინიან.

— ასე არ უთქვამს, სითბო ოცი გრადუსიო და კინაღამ თოვლი მოვიდა,—ამტკიცებს მეორე.

— რა ჩემი ბრალია თუ ასე აჩვენებს,—თავს იმართლებს ლამარა. ახლა კი იწერება: დღის პირველ ნახევარში სუსტი ქარი, უმნიშვნელო წვიმა: დღის მეორე ნახევარში ძლიერამდე ქარი და მნიშვნელოვანი წვიმა, სითბო ოცდასამი გრადუსი.

შაბათობა

— მალე აკაკის იუბილე იქნება. აქ მოვლენ საქართველოს ყველა კუთხიდან, უცხო სტუმარიც ბევრი გვეწვევა,—ამბობენ პიონერები და უხარიათ. სწორედ ამიტომ, შაბათი იქნება თუ ორშაბათი, მათთვის მაინც შაბათობაა.

ახლა გაცხოველებული სამუშაოები მიმდინარეობს აკაკის სახლ-მუზეუმში: თანამშრომლები ექსპონატებს არჩევენ, ჩარჩოებს უცვლიან, წმენდენ და ასუფთავებენ; იწერენ მოგონებებს აკაკის მომსწრე თანასოფლელებისაგან, ამბები დიდ დახმარებას უწევენ პიონერები: ელგუჯა ზაბახიძე, დემურ კორკელიძე, თეიმურაზ მაჭარაშვილი და სხვები. პიონერები აკაკის კარმიდამოზე ნარგავებს ძირებს უბარავენ, უვლიან, მუზეუმის მუშაკებსაც ეხმარებიან.

როცა შუადღე მოატანს, მოსწავლეები სწორედ იმ კაკლის ქვეშ ისვენებენ, სადაც აკაკის უყვარდა დასვენება. ხშირად მათთან არის აკაკის ძმისწული ვასილ დავითის ძე წერეთელი, რომელიც ბევრ საინტერესო ამბებს უყვებით აკაკის ცხოვრებიდან. მზე რომ გადაიხრება, ისევ მუშაობენ, ხან მეზეუმის ეზოში, ხან გზისა და კიბეების შეკეთებაზე.

მერე, საღამოვდება და მიეშურებიან სახლებისაკენ.

მეორე დღეს ისევ შაბათობაა.

ერთი აკაკი

ერთი მეხუთე კლასშია, „მეორე—მეშვიდეში. ერთი სოფლის თავში ცხოვრობს, მეორე—სოფლის ბოლოს. ორივეენი კარგად სწავლობენ. კარგი ყოფაქცევისანი არიან და ერთად დადიან შაბათობაზე. მაგრამ ზოგჯერ გაუგებრობა ხდება: როცა მეშვიდეკლასელ აკაკის იბარებენ რაიმე საქმისათვის, მეხუთეკლასელ აკაკის ეძახიან. როცა მეხუთეკლასელს მშობელი მიდის სკოლაში შეიღლის ნიშნების გასაგებად, შორეული რაიონიდან ჩამოსული მასწავლებელი მეშვიდეკლასელ აკაკის ნიშნებს ეუბნება.

ერთიც ზაბახიძეა და მეორეც, ერთსაც აკაკი ჰქვია და მეორესაც, თანაც ბიძაშვილები არიან, მაგრამ ეს ამბავი არავის უკვირს.

— ასე იციან აკაკის სიყვარულმა, —ამბობს მასწავლებელი ლევან კიკნაველიძე და ეღიმება.

„პრეპოლრიდეები"

ეს მოხდა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ.

მეექვსეკლასელმა ელგუჯა მოსაშვილმა გატეხილი დოქი იპოვა და სკოლაში მოიტანა. ბავშვები შემოესივნენ; ყველას უნდოდა დაენახა და ხელით შეხებოდა. მერე შეკითხვები მიაყარეს:

— სად იპოვე?

— ნათხარში?!

— როგორ?

— მარილა ქველია?

— რა ლამაზია!..

სკოლის დირექტორმა პაკელ მაჭარაშვილმა შეკეთებულ ბავშვებს თავალი შეავლო და იკითხა:

— რა ამბავია?...

— ელგუჯამ ძველი დოქი მოიტანა,—უპასუხეს მასწავლებელს.

პაკელ მასწავლებელმა ელგუჯას საქციელი მოეწონა, შეაქო. მერე სამასწავლებლოში შეიტანა, ათვალიერა და ყველას ვასაგონად თქვა:

— ეს დოქი მეთექვსმეტე საუკუნეს განეკუთვნება...

ამის შემდეგ ბევრ ხანს არ გაუელია და ისევ მეექვსეკლასელებმა: იგორ კიკნაველიძემ და დემურ კორკელიძემ აალაპარაკეს სკოლა, როცა „ჭეერიან ღელდანა" ჩამოიტანეს მოჩუქურთმებული ქვა.

— ეს კი უძველესია,—ამტკიცებენ ერთხმად.

ასე ჩაეყარა საფუძველი სკოლის მუზეუმს.

ახლა ის მეექვსეკლასელები მეშვიდე კლასში არიან.

ბიბლიოთეკარები და კოლმეურნეობასაც.

სკოლასაც აქვს ბიბლიოთეკა და კოლმეურნეობასაც. პიონერები აკაკის პირადი ბიბლიოთეკითაც სარგებლობენ. ჩამოყალიბებულია ბავშვმთა დრამდრუნგი. კოლმეურნეთაგვის მინდვრად აწყობენ ლიტერატურულ ღილა-სალამოებს და დიდ მოწონებას იმსახურებენ.

პიონერები საიუბილეო დღეებისათვის ამზადებენ აკაკის პატარა მოთხრობების ინსცენირებებს. სწავლობენ მის ლექსებს, მის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს.

ბიბლიოთეკაში პიონერები მოვიდნენ: ნინო ზაბახიძე და ზაბახიძე ნათელა.

— დედა ეკატერინე, «ბაში-აჩუკი» მინდა,—ამბობს ნინო.

— მეც «ბაში-აჩუკი» მინდა,—ამბობს ნათელა.

შემდეგ სხვებიც მოდიან, ბიბლიოთეკაში ტევა არ არის. საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი ეკატერინე ჭლავიძე წიგნების გაცემას ვერ აუდგა.

ყდაგაცრეცილი «ბაში-აჩუკი» მიაწოდა ნათელას და უთხრა:

— არ დახიო, თორემ სხვა დროს აღარ გაგაგატან.

ნათელას ეწყინა:

— როდის დავხიე, ახლა რომ დავხიო.

ბიბლიოთეკარს ეღიმება და სხვათაშორის ამბობს:

— ყველაზე ადრე აკაკის წიგნებს აქცევენ ყდები. რადგან ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს.

ეს გასაკვირიცაა.

ნათელა ზაბახიძე აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ფოტოტუალეტს ათვალიერებს.

ეკატერინე ჭლავიძე წიგნის შეტანვაში შეიელის ნინის მკითხველებს ნინი და ნათელა ზაბახიძეს.

ეკატერინეა ლექსიკონ-ბიბლიოთეკარი ეკატერინე ჭლავიძე წიგნების ბიბლიოთეკაში ეხმარება ბავშვებს.

სკოლის ბიბლიოთეკარი ელგუჯა ფოტოტუალეტს ათვალიერებს ამბავი ზე ბ ბ ბ



„კარგი მწიგნობარი, ხე-
ოჯახე, მოხელეხალნარე და
კარგი ადმზრდელი“ — ასე
ახასიათებდა აკაკი თავის
დედას — ეკატერინეს.

«ილია და აკაკი»

ქანდაკება შ. მიქატაძისა
და ვ. თოფურიძისა

ყვავილებით შეამკო ხალხმა ის ეტლი,
რომლითაც დიდი მგოსანი 1912 წელს
რაჭა-ლეჩხუმისაკენ გაემართა.

მგოსნის შამა როს-
ტომ წერეთელი.

აკაკი სტუდენტობის
წლებში.

იცი თუ არა?

1904 წლის 2 ოქტომბერს ღამით, 64 წლის მოხუც აკაკის დამბლა დაეცა... სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარ პოეტს მხოლოდ მეოთხე დღეს დაეტყო გამობრუნების ნიშანი.

მთელი საქართველო შეაძრწუნა საყვარელი მგოსნის ავადმყოფობამ.

იცოდა რა აკაკის ხელმოკლეობის ამბავი, ხალხმა უმალვე დაიწყო თანხების შეგროვება აკაკის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასამგზავრებლად. მაგრამ შემოწირულობები მოდიოდა არა მარტო იმპერიის სხვადასხვა ქალაქებიდან, არამედ უცხოეთიდანაც კი.

აკაკის ერთ-ერთ სამადლობელო წერილში ვკითხულობთ:

«შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ქართველებს პუკდენიდან გამოუგზავნიათ, ჩემ სახელზე არსებულ ფონდისათვის ასი თუმანი. მათი სახელი და გვარი მოხსენებულია წერილში ვრცლად, თავართქილაძისაგან. რადგანაც აქ საგულისხმოა ჩემგან სხვების მიერ მოგონება პატივისცემის ნიშნად, და არა ფულის რაოდენობა, ამისათვის უგულითადეს მადლობას ვწირავ ყველას მათ ერთად და თვითეულს მათგანს ცალ-ცალკე. მაგრამ აღარ ვიცი რითი უნდა გადავუხადო თანაგრძნობა იმ უცხოელ ჩინელებს, რომელთაც არ დაუშურებიათ თავისი მხრით მათი წვლილი, ალბათ ჩვენ თანამემამულეთ კეთილად ვუხსენებივართ და მეც მათ პატივისცემას სამარეში თან ჩავიტან. ეს უცხოელები არიან: იან-იუ, ჯან-ჰო-ლია, დიუ-ჯელი და სი-ვან-პო».

დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი 1915 წელს გარდაიცვალა. მას პეტერბურგში (ახლანდელი ლენინგრადი) დარჩა შემდეგი ნივთები: ვერცხლის დიდი აზარფეშა, ვერცხლის ფრთა კალმით, ვერცხლის პატარა ფრთა კალმით, ოქროთი დაფერილი ვერცხლის ფინჯანი, ლამბაქი და კოვზი, დადიანისეული ვერცხლის პატარა სურა, ვერცხლის სამარილე, ვერცხლის მოზრდილი სურა, ოქროს ფრთა კალმით, ოქროს მედალიონი, ოქროს ქნარი, ვერცხლისთავიანი ჯოხი ოქროს მონოგრამებით, ოქროთი მორთული ჯოხი.

ეს ნივთები, რაც აკაკისათვის მიერთმევიათ სხვადასხვა დროს, როგორც პირადი, ისე კოლექტიური საჩუქრების სახით, ჩამოტანილი იქნა თბილისში და საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებას გადაეცა.



ამ საწნახელში წურავდნენ ყურძენს წერეთლების ოჯახში.

ასე იქმნებოდა პოეტური შედევრები

როგორც აკაკისთან დაახლოვებული პირები გადმოგვცემენ, მგოსანს მეტად თავისებური და უცნაური მანერა ჰქონია წერისა: ჩაიკეტებოდა თურმე ოთახში და ღიღინით ქმნიდა ხელით საგოგმანებელ მარგალიტებს.

აკაკის მკურნალი ექიმი ს. ჭოლოშვილი მოგვითხრობს: „ნიცა წერეთლის ოჯახში ჩვენი შეკრების დროს ყოფილა შემთხვევა, როცა აკაკი სადღაც გამქრალა. ნიცა დატრიალებულა ხოლმე აკაკის მოსაძებნად და აკაკი უნახავს მიურეებულ, მოშორებულ ოთახში კარჩაკეტილი. ოთახიდან მოისმოდა აკაკის სიმღერის მსგავსი მეტყველება, ღიღინი. აკაკი დიდხანს რჩებოდა ოთახში და ღიღინის ქვეშ თხზავდა თავის შედევრებს“.

დ. ფალავას მოგონებებში აკაკიზე ვკითხულობთ: „სანამ წერას შეუდგებოდა, აკაკი ფუჩუნს მოჰყვებოდა. ფუჩუნი მეორე ოთახში კარგად ისმოდა, მაგრამ სიტყვების გარჩევა არ შეიძლებოდა.... შემდეგ მოჰყვებოდა ძალიან დაბალი ხმით სიმღერას, თუმცა სიმღერისა აკაკის არა გაეგებოდა რა. მერე ფეხით დაიწყებდა ბაკუნს და მხოლოდ მერე შეუდგებოდა წერას. წერის შემდეგ ძალიან უყვარდა ნაწერის სხვებისათვის წაკითხვა“.

ივანე ელიაშვილი გადმოგვცემს: „ლექსის დაწერის წინ აკაკის უყვარდა ოთახში სიარული და თმაში ხელის ფათური, ამიტომ მისი ხუჭუჭა თმები მუდამ აბურძგვნილი იყო. დაიარებოდა ოთახში და რაღაცას ღიღინებდა. ამ ღიღინში არავითარი მელოდია არ ისმოდა“.

აქ გახსენებულ ამბებში ერთი რამაა უცნაური: აკაკის თურმე მუსიკალური სმენა არ ჰქონია და სხვა პირობებში მისი სიმღერა არავის მოესმინა, ხოლო მისი ღიღინით შექმნილი ლირიკული ლექსები დიდი ხანია, ქართველი ხალხის საყვარელ სიმღერებად იქცა, ზოგ მათგანზე შექმნილ მელოდიებს კი დღესაც ხალიხით მღერიან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

აკაკის ხახლ-მუზეუმში შემორჩენილია მგოსნის წიგნების კარადა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგარეტ ბრისპი

ინგლისელი მწერალი

ნახ. **ჯ. ლოლუახი**

მოთხრობა

პატარა გოგონას გაეღვიძა და მაშინვე გაახსენდა, რომ კვირა დღე იყო, ამიტომ თვალები მაგრად დახუჭა და სცადა თავი ისე დაეჭირა, თითქოს არ იცოდა. მაგრამ სადღაც შორს, განთიადის სინათლეზე, ეკლესიის ზარები რეკდნენ. აქ კი, დიდ სახლში, სადაც იგი ცხოვრობდა, რაღაც სიცარიელე იგრძნობოდა. ცოტა ხნის შემდეგ გოგონამ თვალთმაქცობას თავი დაანება და საწოლზე წამოჯდა. სადღაც, სამზარეულოს მხრიდან ესმის ჯოხის კაკა-კუკი და ფოსტლების ფლატუნი. რაკი ბაბუა სახლში ეგულებოდა, თავისუფლად ამოისუნთქა, აღარ ცდილობდა ზურგზე კაბის ღილების შეკვრას და ლოცვისათვის მუხლებზე დაიჩოქა. მასთან არავინ იყო, რომ ეკარნახა რაზე ელოცა. ამიტომ თვითონ შეთხზა და დაიწყო:

— ღმერთო, ნუ მომცემ ეკლესიაში გაცინების მიზეზს, ნუ გამაცინებ.

— ღმერთო, ისე ჰქენ, დედამ იფიქროს, რომ მე ჯერ ძალზე პატარა ვარ ეკლესიაში წასაყვანად...

— ღმერთო, ნუ გამიჯავრდები, რომ მე არ მიყვარს შენი კვირა დღე...

— გმადლობ, ღმერთო, ჩემი ბაბუასათვის და ყველა ჩემიანებისათვის, ღმერთო...

როცა გოგონამ ყველა თავისი სურვილი და თხოვნა წარმოთქვა, ფეხზე წამოდგა და გაახსენდა, რომ პირი უნდა დაიბანოს. ტაშტი წყლით უკვე გამზადებული იყო. შემდეგ ფეხაკრეფით, ქურდულად გაიარა ძმების მიულაგებელი ოთახები, გაირბინა სასადილო და თავი სამზარეულოში ამოყო. სულს ძლივს ითქვამდა.

სამზარეულო დიდი და ნათელი იყო. შიგ ღუმელი საამოდ გიზგიზებდა. ბაბუა თავის ძველ სავარძელში იჯდა და, თუმცა გარეთ თბილოდა, ხელები მაინც ცეცხლისთვის მიეფიცხებინა.

— ოჰო, შენ აქა ხარ,—უთხრა ბაბუამ და სავარძელში შემობრუნდა, გოგონას ათვალიერებდა.—მე კი მეგონა ეკლესიაში იყავი,—თქვა მან და თან თვალი ჩაუკრა. დაბერებული, შეფაკლული სახე ღიმილით გაებადრა.

— ჩაის არ დალევ? საცაა ადუღდება.

— დედამ რომ გაიგოს?—ჰკითხა გოგონამ, რადგან გაახსენდა, რომ დედა ჩაის დალევას უკრძალავდა. ისე კი ძალიან უნდოდა დაელია.

— რა თქმა უნდა, ვერ გაიგებს,—თვალი ჩაუკრა ბაბუამ და თან დასძინა:—ის რაც ადამიანმა არ იცის, და მისი გაგება გააბრაზებს, არ უნდა უთხრა.

— ჩაი ხომ მაწყინარია პატარა გოგოსათვის...

— არასოდეს მაგის მსგავსი არაფერი გამიგონია. როცა მე შენოდენა ვიყავი, ჩაის ჩემთვის არავითარი ზიანი არ მოუყენებია,—უთხრა ბაბუამ.

მოხუცს თოვლის ბაბუასავით თეთრი თმა, თეთრი წვერი და წარბები ჰქონდა, თვალები კი—ცისფერი. იგი ძალზე ნელა დადიოდა. შავი, გრძელი ქურთუკი ეცვა, რომელიც სინათლეზე მწვანე გეგონებოდათ. თავზე ძველი, რუხი ფერის ქუდი ეხურა, უყვარდა აბრეშუმის ცხვირსახოცით ყელის შეხვევა. როცა ქუჩაში გადიოდა, რეზინისყელიან ფეხსაცმელს იცვამდა. იგი ამ ფეხსაცმელს სახლშიაც სიამოვნებით ჩაიცვამდა, მაგრამ პატარა გოგოს დედა ამბობდა, ასეთი ფეხსაცმელი სახლში ხმაურს იწვევსო. ამიტომ ბაბუა შინ ყოველთვის ფოსტლებში ფეხწადგმული დატყაპუნებდა. მოხუცს, ფოსტლების ეს დაწყევლილი ტყაპატყუპი ყოველ წუთს სხვის კისერზე ცხოვრებას აგონებდა, მაგრამ ეს ასე არ იყო: მას ჯერ კიდევ შეეძლო დაეჩეხა შეშა და ბოსტნისათვის მოევლო, თუმცა უკვე ოთხმოცი წლისა იყო. კვირაობით, როცა შინამოსამსახურე სახლში არ იყო, დიასახლისს სუფრის გაშლასა და ჭურჭლის გარეცხვაშიც შველოდა.

ბაბუამ ჭიქები მოიტანა და ჩაი მოამზადა. პატარა გოგონა კი პურის ორ დიდ ნაჭერს ცეცხლზე აფიცხებდა. ბაბუამ სავარძელი მოიწია, გოგონამ—სკამი და ორივენი ღუმელს მიუსხდნენ.

გოგონა ჭიქას ჩაშტერებოდა, ჩაის პირს არ აკარებდა.

— რა მოხდა, რატომ არ სვამ? — ჰკითხა ბაბუამ.

— ჭიქაში ბუზია, —უპასუხა გოგონამ.

ბაბუამ საშაქრედან კოვზი აიღო და გოგონას გაუწოდა.

— ამოიღე, —უბრძანა ბაბუამ.

— ეს ხომ ბუზია, —შეეპასუხა გოგონა.

— მერე რა. ნუ გეშინია, არ შეგჭამს.

— ბუზზე ხომ მიკრობია!

გოგონამ ბაბუას შეხედა, შემდეგ ბუზს და ყოყმანით მოკიდა ხელი გამოწვდილ კოვზს. ჭიქიდან ბუზი ამოიღო. ბაბუამ აიღო ბუზი და ცეცხლში შეაგდო,

— ახლა დალიე, —გაამხნევა გოგონა.

გოგონა ჩაის სვამდა, მაგრამ, მართალი რომ ვთქვათ, დიდად არ მოსწონებია.

ისინი ცოტა ხანს კიდევ ისხდნენ ბაბუა მღეროდა. გოგონა ამბობდა ლექსს, რომელიც სკოლაში გასულ კვირას ისწავლა. შემდეგ ფაცაფუცით გაამზადა სუფრა ეკლესიიდან მომსვლელთათვის, დაფიქრდა იმ სატანჯველზე, რომელიც სულ მალე დაიწყებოდა, გულში ინანა, რომ ყველაფერი ასე მალე დამთავრდა.

მშობლებსშუა ჩამდგარი გოგონა ეკლესიაში მიდიოდა.

ცალ ხელში ლოცვანი ეჭირა, მეორეში—პატარა ჩანთა, რომელშიც თავისი დანაზოგი, – სამი პენსი ედო. მას მუსლინის კაბა ეცვა და თავზე ლია ყვითელი ფერის ქუდი ეხურა. ქუდზე, ზედ კინკრიხოზე, ყვავილი ეკეთა.

— გაჩერდი, მტვერში ნუ ურევ ფეხებს, —უბრძანა დედამ.

ეკლესიაში, როგორც ფარდებჩამოფარებულ სასადილო ოთახში, ყველაფერი პირქუშად გამოიყურებოდა. ყველაფერი რაღაც უცნაური ყვითელი ფერით იყო განათებული, რომელიც ფერად მინებში ატანდა. მლოცველები მინებს მსუბუქად თავს უქნევდნენ. დედას თავი ძალზე მაღლა ეჭირა და ისეთი ღვთაებრივი სახე ჰქონდა, გოგონამ შეხედვა ვერ გაბედა. როცა თავის ადგილებს მიაღწიეს, მამამ დედა და გოგონა წინ გაუშვა, თითონ ქუდი სკამზე დადო და სამივემ დაიჩოქა. პატარა გოგონამ თავისი ლოცვანი გადაშალა და შეეცადა ნაცნობი სიტყვა მოენახა.

ეკლესიაში ძალიან ცხელოდა. მღვდლის მოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ გოგონას მამა გაძვრა კედელთან და ორი ფანჯარა გააღო. მას მისტერ ჯემსმა, ეკლესიის მნათემ, მიბაძა და მანაც მოპირდაპირე მხარეს ფანჯრები გააღო. მერე ეკლესიის მსახურმა უკან ყველა დანარჩენი ფანჯრები გააღო. რამდენიმე წუთის შემდეგ მისს მარტინმა, რომელსაც ცოტათი შესცივდა, მისტერ ჯემსის მიერ გაღებული ფანჯარა მიხურა. მისტერ ჯემსი შემობრუნდა და მისს მარტინს მიაჩერდა. მისტერ ჯემსი ისე გაბრაზებული მისჩერებოდა მისს მარტინს, რომ პატარა გოგონა შეხტა, კინაღამ გადაიკისკისა. დედამ შეხედა გოგონას, რომელსაც ხველა აუვარდა, და პირში ცხვირსახოცი შეჩარა.

მღვდელს წყნარი, ნაღვლიანი ხმა ჰქონდა. იგი პირქუშად გამოიყურებოდა, რადგან სხვის ცოდვებზე სწუხდა და თანაც ჯამაგირი არა ჰყოფნიდა ოჯახის შესანახად. მისი სიტყვები ეკლესიის თაღებში მონოტონურად გაისმოდა, როგორც ბუზის ბზუილი.

— გაჩერდი მტვერში ნუ ურევ ფეხებს! —უბრძანა დედამ.

ლოცვა ძალიან დიდ ხანს გაგრძელდა. პატარა გოგონა ჯერ მამის საათის წიკწიკს ითვლიდა. მერე დათვალა რამდენი ქალი იყო შავი ქუდით. რამდენი — თეთრით. ბოლოს ჩანთიდან ამოიღო თავისი დანაზოგი. — სამი პენსი. ფული თბილი და ძალიან წებოიანი იყო. უნდოდა ფული მეორე ხელში დაეჭირა, მაგრამ იგი წკრიალით დაეცა სკამზე. ფულს წამსვე ხელი სტაცა, მაგრად მოუჭირა და თავჩაქინდრული გაშეშდა. როცა დარწმუნდა, არავინ უყურებდა, თავი ზევით ასწია და ფულის ჩანთაში ჩაყრა მოინდომა. მაგრამ, ერთი იატაკზე დაეცა და პირდაპირ მისტერ ჯემსთან მიგორდა წკარუნით, ახლა მღვდელმაც შენიშნა და გოგონას შეხედა. მისტერ ჯემსი შებრუნდა, ფულის ასაღებად დაიხარა; მან ფული დიდხანს ვერ ნახა და კარგა ხანს წაკუზული იყო. პატარა გოგონას დედას წმინდანის სახე შეეცვალა. შეშინებული გამოიყურებოდა, როგორც იქნა, ფული იპოვეს და განრისხებულმა მამამ ჯიბეში ჩაიდო.

— ჩემს ცხოვრებაში ასე არ შემრცხვენია, — თქვა გოგონას დედამ.

გოგონა რომ შინ მივიდა, საუზმე გამზადებული დახვდა. მისი ძმები ეკლესიაში არ წასულან. ბიჭებმა დედას მაგიდის გაშლა უშველეს. სახლი მიალაგ-მოალაგეს, ჭამეს, ხელები დაიბანეს და თავის საქმეს მიაშურეს.

— ახლა შეგიძლია საღამომდე ეკლესიაში წასვლამდე დაისვენო, — უთხრა დედამ გოგონას.

ქალაქიდან საკვირაო გაზეთები მოიტანეს, მამამ ბაბუას გაზეთის ის ფურცლები მისცა, რომლებიც არ აინტერესებდა. და თავის ოთახში გავიდა. ბაბუამ თავისი წილი გაზეთი აიღო და ელექტრო-ქურას მიუჯდა. ცოტა ხნის შემდეგ მოხუცს ჩაეძინა, ხვრინვა ამოუშვა. მისი თეთრი წვერი ძველ, შავ-მომწვანო ქურთუკზე მოძრაობდა.

სახლში არაჩვეულებრივი სიმშვიდე სუფევდა. ბაბუას ხვრინვა და მამის გაზეთის შრიალი კიდევ უფრო აძლიერებდნენ გამეფებულ მყუდროებას. გოგონა საწოლზე მშვიდად წამოკოტრიალებულიყო და ფიქრობდა: საათები მიდიან და მიდიან... და როცა მოეჩვენა, რომ ისინი მთლად წავიდნენ, წამოდგა. ჩუმად გამოძვრა ოთახიდან და ნახა, რომ სამი საათია, სამზარეულოში გავიდა და ერთხანს ბაბუას ხვრინვას უსმენდა, მერე გვერდითა აივანზე გამოვიდა.

იდგა აივნის მოაჯირთან და თავისთვის წყნარად ღიღინებდა. ჯერ ნელა, ცხვირში, შემდეგ დაავიწყდა და ხმას აუწია. სახლში გაბრაზებულმა მამამ დაიღრიალა. გოგონა შიშისაგან შეხტა და დიდ ხანს სულგანაბული იდგა. მერე ჩუმად ჩამოვიდა აივნიდან და წყლისთვის კასრთან მივიდა. ქვემოთ მიწას შოკოლადისფერი გადაჰკროდა. კასრის მილიდან წყლის წვეთები წკაპუნით ეცემოდნენ. იქ თამბაქოს რამდენიმე ყუთი და თუნუქის თეფში იპოვა. ამასობაში დღემ შეუმჩნევლად გაირბინა, მოსაღამოვდა. არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ბიჭები უკვე მოვიდნენ და დედა სახლში საქმიანობდა. აბაზანაში შევიდა, გასუფთავდა და ბაბუასაკენ გაეშურა.

— ბაბუ, მითხარი, ღმერთს ეწყინება, რომ გაიგოს, როგორ მიხარია კვირა დღის გასვლა?

— მე დაგინახე შე ეშმაკო, — კასრთან, ტალახში რომ თამაშობდი, — ჩურჩულით უთხრა ბაბუამ და ტუჩებზე სასაცილოდ მოხრილი თითები მიიდვა. გოგონამ ბაბუას გამოსაჯავრებელად თავისი სწორი, ჩხირებივით წვრილი თითებით იგივე გაიმეორა და ორივეს გაეცინა. ბაბუამ აანთო სანთელი და გოგონა შეათვალიერა. შემდეგ მოიხსნა აბრეშუმის ცხვირსახოცი და მუხლისთავები გაუწმინდა. ორივენი ერთმანეთს აჩუმებდნენ: შ-შ-შ, თან ხითხითებდნენ. მერე ბაბუა ფოსტლების ფლატუნით წავიდა, ღუმელს შეუკეთა.

ვახშმობისას გოგონამ თავი აიტკივა. მერე კბილი, ყური. ბოლოს ხელზე განაკაწრი აღმოაჩნდა, მაგრამ, მისთვის, ბაბუას გარდა, ყურადღება არავის მიუქცევია. ნავახშმევს ვერ ნახა საგარეო ფეხსაცმელი, მაგრამ არც ამან უშველა, დედამ ეკლესიისაკენ გაუყენა.

და აი, გოგონა მუსლინის კაბითა და თავზე ყვავილიანი, ღია ყვითელი ფერის ჭილოფის ქუდით, იმავე მტვრიანი გზით მიაბიჯებდა მშობლების შუაში, მაგრამ ახლა ძმებიც მიჰყვებოდნენ. ისე ბნელოდა, რომ ვერავინ ხედავდა, გოგონა ფეხებით მტვერს რომ აყენებდა. მისი ძმები ეკლესიის გუნდში მღეროდნენ და ამიტომ მათ ეკლესიის ბაღთან შეუხვიეს.

როცა გოგონამ, მშობლებთან ერთად, ეკლესიაში თავისი ადგილი დაიკავა, მამამ მას ფულიანი ჩანთა ჩამოართვა და ჯიბეში ჩაიდო.

მოვიდა მისტერ ჯემსი და მათ წინ დაჯდა. ორღანზე დამკვრელ ქალს ისევ ის ქუდი ეხურა ვეება წითელი ვარდით. მღვდელი კი ისევ ნაღვლიანი ხმით ლაპარაკობდა. იწმენდდა ოფლს თეთრი ცხვირსახოცით, რომელიც შემდეგ სადღაც, ანაფორის ფართო სახელოში იკარგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონა გრძნობდა, რომ დაიღალა. თუმცა ცდილობდა მღვდლისათვის მოესმინა, გაეგო რას ლაპარაკობდა, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ გაიგო, გოგონას ძილი მოერია. ხანგამოშვებით წინ და უკან იხრებოდა, ერთხელ თვალიც დახუჭა და სასიამოვნო ბურუსში გაეხვია. მერე სწრაფად გაახილა თვალები და მთელი სამი წუთის განმავლობაში არ დაუხუჭავს, მაგრამ მეტი ვეღარ მოითმინა და თვალები თავისთავად მოეხუჭა, უცბად მაგრად დაეძინა. ვიდრე დედა ხელის წვალებას მოასწრებდა, პატარა გოგონა მოწყვეტით გაქანდა წინ და ყრუ ხმაურით თავი სკამს დაახეთქა. მამამ ხელი სტაცა. დედა შეშფოთდა. მისტერ ჯემსი შემობრუნდა და დედას შეხედა. ბიჭები გუნდში ახითხითდნენ. გოგონამ თავი ჩაქინდრა, სულგანაბული გაუნძრევლად იჯდა. ცდილობდა, თავის ყვავილიან ქუდში ჩამალულიყო. ჩანდა, მღვდელს ამ შემთხვევამ უშველა, გამოერკვა და ლოცვა სწრაფად დაამთავრა.

დედ-მამა ეკლესიიდან სწრაფად გამოვიდნენ. როცა ისინი მტვრიან ქუჩას გაჰყვნენ, დედამ თქვა:

— ასეთი სირცხვილი ჩემს სიცოცხლეში არ განმიცდია. „საოცარია— ფიქრობდა გოგონა,—ჩემი გულისათვის კვირაობით რამდენი სირცხვილი უნდა სჭამონ ადამიანებმა. შეიძლება მათ ძალიან ბევრი სირცხვილი აქვთ. ან, იქნებ, მართლაც-და განსაკუთრებით ცუდად მეჭირა თავი დღეს“. მას უნდოდა სინდისის ქეჯნა განეცადა, მაგრამ ამისთვის არ ეცალა, იმაზე ფიქრობდა როგორმე კვირა დღეს გაეარა.

დაწოლის წინ ერთი ჭიქა კაკაო დალია, რომელიც ბაბუამ სამზარეულოში მოუმზადა. ცეცხლთან მიყუჟულ ბაბუას გოგონა მუხლებზე უჯდა. გოგონამ ბაბუას ჰკითხა:

— ბაბუ, მითხარი, ღმერთს ძალიან ეწყინება, რომ გაიგოს, როგორ მიხარია კვირა დღის გასვლა?

ბაბუამ ხმა არ გასცა.

ცეცხლის ალი ბაბუას გრძელ თეთრ წვერზე თრთოდა, მის შავ-მომწვანო ქურთუკს აელვარებდა. ბაბუა დიდ ხანს დუმდა. შემდეგ თავის კანტურით, თითქოს თავის თავს პასუხობსო, თქვა:

— მე ვფიქრობ, თვით ღმერთსაც კი უხარია, როცა კვირა დღე იწურება.

თარგმნა **შ. ლოლობერიძემ**

„პიონერთა წალკოტი“

გერმანიაში, ვერბელინის ტბის მწვანედ აბიბინებულ სანაპიროზე კოხტად ნაგები ცამეტი პატარა კოტეჯი რომ დგას, ვილჰემ პიკის სახელობის პიონერთა რესპუბლიკაა. წარჩინებული პიონერების დასვენებისა და გართობის ამ შესანიშნავ ადგილს გერმანიაში «პიონერთა წალკოტს» უწოდებენ. 17 ივლისს აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პირველი საერთაშორისო პიონერული ბანაკი «მშვიდობისა და მეგობრობისათვის». მსოფლიოს 50 ქვეყნიდან ჩამოსულ 1300 პიონერ-მოსწავლეს გერმანელმა პიონერებმა ღირსეული შეხვედრა მოუწყეს. პატარა მასპინძლებმა თავიანთი სტუმრებისათვის ბანაკის ტერიტორიაზე 1500-ადგილიანი საზაფხულო თეატრი ააგეს. გერმანელმა პიონერებმა გვინეაში პიონერთა ორგანიზაციის ჩამოყალიბების დღეს გვინეის პიონერებს მეგობრობის ნიშნად საკუთარი დროშა გაუგზავნეს, ორგანიზაციის შექმნა მიულოცეს და საერთაშორისო პიონერულ ბანაკში მიიწვიეს.

დიდხანს ემახსოვრებათ ბანაკში გატარებული დღეები საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, ალჟირისა და სხვა ქვეყნების პიონერებს. აბა, რომელ გოგონას დაავიწყდებოდა 20 ივლისს ბანაკში ჩატარებული «გოგონების დღე». «პიონერთა წალკოტის» ყველა წევრი სიამაყის გრძნობით იგონებს 23 ივლისს, ამ დღეს «მშვიდობისა და სოლიდარობის» ზეიმი ჩატარდა. 25-დან 27 ივლისამდე პიონერებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმოგზაურეს, ინახულეს დრეზდენი, ლაიპციგი, როსტოვი, სტალინშტადტი და პოტსდამი. 30-31 ივლისს ვილჰელმ პიკის სახელობის პიონერულ ბანაკში დიდი სპორტული თამაშობანი გაიმართა, 50 ქვეყნის პიონერები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ. 1-ელ აგვისტოს პიონერებმა გერმანული და საზღვარგარეთული ფილმები ნახეს. ხოლო 6 აგვისტოს კი, ბანაკის დახურვის დღეს, აგიზგიზგიზდა მეგობრობის დიდი პიონერული კოცონი. სტუმრები და მასპინძლები გულმხურვალედ გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

ალჟირელი ბავშვები გერმანიაში

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ალბათ ახსოვთ № 2-ში მოთავსებული წერილი ალჟირელი ბავშვების თავშესაფრის—«მარსას რესპუბლიკის» შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთმა «ვოხენციატუნგმა» მოწოდებით მიმართა თავის მკითხველებს ეკონომიური დახმარება გაუწიონ უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს.

რაშიდას, აიშას და «მარსას რესპუბლიკის» მკვიდრთა ბედმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია «ვოხენციატუნგის» მკითხველებში. რედაქციის მისამართით ყოველდღიურად ათობით წერილი და ფულადი შეწირულობა იგზავნებოდა. ერთი წლის მანძილზე საკმაოდ დიდი თანხა—250.000 გერმანული მარკა შეგროვდა. გაზეთის რედაქციამ ამ თანხით გერმანელი პიონერებისა და ახალგაზრდების თხოვნით, გადაწყვიტა სტუმრად მიიწვიოს «მარსას რესპუბლიკის» 10 ბავშვი, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაისვენებენ.

ამ გადაწყვეტილებას ალჟირში დიდი სიხარულით შეხვდნენ. ალჟირის პროფესიული კავშირის მდივანმა ჯილანიმ მადლობის გრძნობით აღსავსე წერილი გაუგზავნა «ვოხენციატუნგის» რედაქციას: «ჩვენ უაღრესად მადლიერნი ვართ თქვენი სოლიდარობისათვის ალჟირელი ბავშვებისა და მშრომელი ხალხის მიმართ. მეტად გაგვახარა თქვენმა წერილმა 10 ალჟირელი ბავშვის მიწვევის შესახებ. გისურვებთ წარმატებებს თქვენს მშვენიერ, კეთილშობილურ საქმიანობაში».

ალჟირელი ბავშვები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერებს სექტემბრის პირველ რიცხვებში ეს-ტუმრნენ.

ლ. სადრაძე

ეკიპაჟები ამიკვეთრ ბიზიზისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

... მოვაწყეთ სასპორტო მოედანი. ახლა უფრო ხშირად ჩავატარებთ სპორტულ შეჯიბრებებს.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის საშუალო სკოლის კოსმოდრომის რადისტი

რ. ფორდანია.

... ჩვენი სკოლის კოსმოდრომის წევრებს დღეიათვის 3 ათასი კგ. ჩაის მწვანე ფოთოლი აქვთ მოკრეფილი.

სუფსის სამუალო სკოლის კოსმოდრომა ს რადისტი

მ. ბოლქვაძე

... ვაშენებთ სახელოსნოს. ახალ სასწავლო წელს ჩვენს ოლაში იხმაურებენ ჩარხები.

ბურჯა. რკინიგზის საშუალო სკოლის კოსმოდრომის უფროსი

ზ. ელიზბარაშვილი

... დაგვიფასდა შრომა. წარმატებით გავართვით თავი აბრეშუმის ჭიის მოვლის საქმეს და დამამზადებელ პუნქტს 139 კგ. აბრეშუმის პარკი ჩავაბარეთ.

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთის საშუალო სკოლის კოსმოდრომის რადისტი

ძ. ხიჭინავა.

რა ცოტას ამბობენ ეს ძუნწად დაწერილი სტრიქონები იმასთან შედარებით, რაც ზაფხულის არდადეგების პერიოდში გააკეთეს პიონერებმა. ჰკითხეთ ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებს, ქობულეთელ მეჩაიეებს, ჩხოროწყუელ და ქისტაურელ მეაბრეშუმეებს, წინანდალელ მევენახეებს და ისინი დაწვრილებით გიამბობენ, თუ როგორი მონდომებით უვლიდნენ ეს შრომისმოყვარე გოგო-ბიჭები აბრეშუმის ჭიას, როგორ მოსპეს ვენახისა და ბაღის მავნებლები, როგორ გაწმინდეს ყანა სარეველებისაგან და რამდენი კმაყოფილება და სიხარული მოუტანეს მათ პიონერული თეატრის წევრებმა, რომლებმაც სოფლის კლუბში ხალისიანი სპექტაკლი წარმოადგინეს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ოთხიოდე თვის წინათ საპლანეტთაშორისო სადგურ „მზიურიდან“ გადაიცა პირველი რადიოგრამა:

„ყურადღება! ისმინეთ, ისმინეთ! იწყება დიდი მოგზაურობა შვიდწლედის ორბიტზე გასასვლელად. რაზმებს, რომლებსაც სურთ გავიდნენ ორბიტზე და გახდნენ „შვიდწლედის თანამგზავრი“, შეუძლიათ ჩაებან საქართველოს პიონერთა რაზმეულების თამაშში „40 ათასი კილომეტრი ორბიტამდე.“ თამაშს ხელმძღვანელობენ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ და საქართველოს რადიოს საბავშვო გადაცემათა რედაქციები.

ამ ცნობამ ელვის სისწრაფით შემოირბინა ყველა ქალაქი და სოფელი. თამაშის მონაწილე რაზმეულებში შეიქმნა კოსმოდრომები, რაზმებში შეიქმნა ეკიპაჟები. დაინიშნენ კოსმოდრომების უფროსები, ეკიპაჟების კაპიტნები, რადისტები, და 15 ივნისს, თამაშის დაწყების დღეს, როცა ეკიპაჟებმა კოსმოსში „გაფრენის“ უფლება მიიღეს, ყველანი საზეიმო ხაზზე მოეწყვნენ.

საიდუმლო როდია, რომ იმ 20 ათას პიონერს შორის, რომლებმაც თამაშში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს, ცოტანი არ იყვნენ ისეთები, რომლებსაც საშემოდგომო გამოცდა ან დავალება ჰქონდათ, ისეთები, რომლებმაც არ იცოდნენ კარვის გაშლა, სადილის მომზადება, პირველი სამედიცინო დახმარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწევა და სხვ. მაგრამ, აბა როგორი პიონერია ის, ვისაც ეშინია სიძნელეების! მით უმეტეს, როცა ორბიტზე გასვლის ერთ-ერთი მთავარი პირობა ის არის, რომ ეკიპაჟში მტკიცედ ტარდებოდეს კომუნისტური ცხოვრების პრინციპი—ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის.

არც ასე იოლია შეუფერხებლად გაიარო 40 ათასი კილომეტრი კოსმოდრომიდან ორბიტამდე; სხვა ეკიპაჟებზე უფრო სწრაფად და უკეთესი მაჩვენებლებით ჩაუქროლო სადგურებს: „ცოდნის წყაროს“, „სპორტულს“, „მშვიდობას“, „შრომისკარს“, „ტურისტულს“, „მზიანეთს“, „პიონერულს“, „სიხარულს“, „კომკავშირულს“ და გახდე „შვიდწლედის თანამგზავრი“. მაგრამ აი, პიონერთა ოთახში თუ სკოლის დერეფანში გამოკრულ რუკებზე დამაგრებული ბევრი „რაკეტა“ უკვე გასცდა პირველ სადგურებს და ორბიტისაკენ მიიკვლევს გზას.

ყოველი 4 ათასი კილომეტრი, რომლითაც ერთი სადგური მეორისაგანაა დაცილებული, ბავშვებმა გულმოდგინე შრომითა და სასახელო პიონერული საქმეებით გაიარეს. ნორჩ ტურისტთა და მოგზაურთა ასობით რაზმი მიიკვლევდა გზას ტყეში და მთის ფერდობებზე, მხიარულად გიზგიზებდნენ მდინარის ნაპირას თუ

კარვის მახლობლად ღამით დანთებული კოცონები; ეკიპაჟის წევრები სწავლობდნენ სალაშქრო ჯოხისა და თოკის ხმარებას, კარვის გაშლას, ცეცხლის დანთებას, აგროვებდნენ ფოლკლორულ მასალებს, კოლექციებსა და ჰერბარიუმებს, ხვდებოდნენ პირველ რევოლუციურ რაზმებში მებრძოლ ადამიანებს და უბის წიგნაკებში იწერდნენ მათ ნაამბობს. ბავშვები აგროვებდნენ ფოტოსურათებსა და სხვა სამახსოვრო ნივთებს, საუბრობდნენ პირველი კოლმეურ-

ნეობებისა და ფაბრიკა-ქარხნების მშენებლებთან, სწავლობდნენ მშობლიური კუთხის წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

უნდა გენახათ რა მარდად კრეფდნენ ჩაის მწვანე ფოთოლს ქობულეთის რაიონის სოფელ ხალას პიონერები, ანდა რა სიხარული იყო ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის კოსმოდრომში, როცა ჩაის ნორჩი მკრეფავების მიერ მიმღებ პუნქტში მიტანილი 1 ტონაზე მეტი მწვანე ფოთოლი პირველი ხარისხისა აღმოჩნდა.

გულმოდგინედ უბარავდნენ ძირებს ცენტრალურ ქუჩაზე და სკოლის ეზოში დარგულ ხეებს ახმეტის საშუალო სკოლის პიონერები, რომლებმაც სტარტის აღების პირველსა-

ვუ დღეს გაასუფთავეს და კეთილმოაწყვეს ეზო და სკოლის მისასვლელი გზები. რომ ჰკითხოთ ამ სკოლის კოსმოდრომის რადისტს თამარ შაშიაშვილს, იგი სხვა ეკიპაჟებს შორის უსათუოდ დაგისახელებთ ეკიპაჟ „მერცხალას“, რომლის წევრებმა სულ რამდენიმე დღეში 800 კილოგრამზე მეტი ჯართი შეაგროვეს.

თამაშის მონაწილე პიონერებს არც თემურული საქმიანობა დავიწყებიათ. 120 წლის ქესკინ ნიჟარაძე ყოველთვის მადლობით იხსენიებს მუხაესტატელ პიონერებს, რომლებიც საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებასა და ყანის თოხნაში დაეხმარნენ მას. მოხუცები, სამამულო ომის ინვალიდები და მათი ოჯახები არც სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშის პიონერებს დავიწყებიათ. სწორედ ამიტომ ლოცავენ მათ ნინო თვალავაძე, მარიამ კაკაბაძე და ოლღა ნაცვლიშვილი.

ორბიტზე გასასვლელად, „შვიდწლედის თანამგზავრი“ რაზმის სახელის მოსაპოვებლად სპორტული წარმატებებიცაა საჭირო. და აი, თამაშის მონაწილე პიონერთა შორის დღითიდღე სულ უფრო ცოტანი რჩებიან ისეთები, რომლებიც არ ასრულებენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს, არ მონაწილეობენ ეკიპაჟისა თუ კოსმოდრომის მიერ მოწყობილ შეჯიბრებაში, რომელიც ხან საუკეთესო მორბენალს გამოავლენს ხოლმე, ხან მოცურავეს, ხან კიდევ საუკეთესო ფეხბურთელთა თუ კალათბურთელთა გუნდს.

ეკიპაჟში არ უნდა იყოს არც ერთი

ჩამორჩენილი პიონერი! ეს კარგად იციან თამაშის მონაწილეებმა. ჯერ იყო და მთელი ზაფხული არ მოსცილებიან საშემოდგომო დავალებამიცემულ თანატოლებს. ახლა კი, როცა სასწავლო წელი დაიწყო, ყველა იმის ცდაშია, რომ მოსწავლის დღიურებსა და საკლასო ჟურნალებში არც ერთი ორიანი არ ჩაიწეროს, არავინ აცდენდეს გაკვეთილებს, ყველა მტკიცედ იცავდეს სასკოლო ცხოვრების განაწესს.

სწორედ ამის შესახებ იტყობინებიან კოსმოდრომების უფროსები და რადისტები საპლანეტთაშორისო სადგურში გამოგზავნილი უკანასკნელი რადიოგრამებით და თან დასძენენ, რომ თამაშის მონაწილე პიონერები მზად არიან კოსმოდრომების ახალი დავალებების შესასრულებლად, რომ ეკიპაჟები შეუჩერებლად მიჰქრიან ორბიტისაკენ.

დიახ, ჩვენი რესპუბლიკის პიონერთა რაზმეულების თამაში „40 ათასი კილომეტრი ორბიტამდე" გრძელდება. ეს თამაში მომავალი წლის თებერვლამდე გასტანს და ეკიპაჟები კიდევ ბევრ კარგ, სასარგებლო საქმეს გააკეთებენ. განა შემოდგომასა და ზამთარში ცოტაა საქმე საკოლმეურნეო მინდვრებში, ბაღ-ვენახებსა და პლანტაციებში? განა ახლა არ გაახარებს ფერმის მუშებსა, თუ მწყემსებს იმ წითელყელსახვევიანი გოგონებისა და ბიჭების სტუმრობა, რომლებიც ხან ახალ ჟურნალ-გაზეთებს წაუკითხავენ მათ, ხან კიდევ მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს გამართავენ? თებერვალში კი კოსმოდრომები შეაჯამებენ თამაშის შედეგებს. 8 თვის მანძილზე შეგროვილი მასალებით სკოლაში მოაწყობენ მუზეუმებს, გამოფენებს და გამოგზავნიან კიდევ ერთ რადიოგრამას, რომლითაც გამარჯვებული ეკიპაჟის სახელს და ნომერს აცნობებენ საპლანეტთაშორისო სადგურს.

და მაშინ, როცა თამაშში გამარჯვებულ ეკიპაჟებს მიეკუთვნებათ „შვიდწლედის თანამგზავრი" რაზმის საპატიო სახელი, სკოლებში მოეწყობა ამ რაზმების ორბიტზე გასვლის აღსანიშნავი დიდი ზეიმი, რომელსაც სადგურ „მზიურის" წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

ცოტა უფრო გვიან კი „შვიდწლედის თანამგზავრი" რაზმები, ცალკეული პიონერები და ის უფროსი პიონერხელმძღვანელები, რომლებმაც უზრუნველყვეს თამაშის წარმატება, დაჯილდოვდებიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით; ხოლო თბილისში მოეწყობა გამარჯვებული ეკიპაჟების წარმომადგენელთა შეკრება, რომელსაც 3 საუკეთესო ეკიპაჟის მთლიანი შემადგენლობაც დაესწრება.

ბევრი რამ ექნებათ ერომანეულთა სათვის საამბობი ამ პიონერებს. შეკრებაზე, ალბათ უსათუოდ ახსენებენ მერეთელ და ნიგოითელ ნორჩ მეაბრეშუმეებს, დუშელ მეფუტკრეებს, ქუთაისის მე-20 სკოლის ხელმარჯვეებს, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხისა და გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის პიონერებს, რომლებმაც ვეებერთელა ყვავილნარითა და ვარდის ბუჩქებით დაამშვენეს სკოლის ეზო და რაიონული პარკის სკვერები...

დიდი ზეიმი და სიხარული იქნება ამ შეკრებაზე.

იქნებ შენც, ამ სტრიქონების მკითხველო, მოიპოვო გამარჯვებული ეკიპაჟების წარმომადგენელთა შეკრებაში მონაწილეობის უფლება და, ალბათ, შენც გადაიღებ სურათს, რომლის უკანა მხარეზე გააკეთებ ბედნიერი ბავშვობის სამახსოვრო წარწერას: თბილისი. 1961 წელი. „40 ათასი კილომეტრი ორბიტამდე".

გაივლის წლები, ბევრი რამ შეიცვლება შენს ცხოვრებაში: ბავშვობაში ნაწაფი ხელით ააგუგუნებ დიდი ქარხნის ჩარხებს და ბრძმედებს, მტკიცედ ჩასჭიდებ ხელს კოსმოსში მიმავალი საჰაერო ხომალდის საჭეს, ახალი აღმოჩენითა თუ გამოგონებით გაახარებ ქვეყანას; მაგრამ ყოველთვის სიამოვნებით მოიგონებ ამ თამაშს, რომელიც პიონერული საფეხურების უკეთ დაუფლებაში, ბევრი კარგი ჩვევის შეძენაში დაგეხმარა და, რომელიც საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი.

გ. ნადარეიშვილი

ქართული ცეკვის სილამაზე და სინარნარე ჩამოიტანეს თან გორელმა მოსწავლეებმა.

სიხარულის სიმღერები

თბილისში, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში ოთხი დღე მიმდინარეობდა სასკოლო მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკური დათვალიერება.

ოთხი დღე ისმოდა თეატრის სცენიდან სიხარულისა და ბედნიერების სიმღერები. თვალს იტაცებდა ნარნარი „ქართული", დინჯი სვანური ფერხული, მაყურებელი აღტაცებაში მოყავდა მკვირცხლ ლახტობანას... ეს იყო ჩვენი მოზარდი თაობის ზეიმი. მათ ყოველ გამოსვლაში იგრძნობოდა სიყვარული მშობლიური პარტიისადმი სამშობლოსადმი. ისინი უმღეროდნენ ხალხთა ბედნიერ ცხოვრებას. ხალისიან შრომას, მშვიდობას...

რაოდენი მონდომება, შრომა და ხელოვნებისადმი სიყვარული იგრძნობოდა ბათუმის პირველი საშუალო სკოლის მხატვრული კოლექტივის გამოსვლაში. თქვენმა ტოლებმა დიდი ოსტატობით შეასრულეს „სიმღერა პარტიაზე", „სიმღერა თბილისზე", „მშვიდობის დროშა". მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა „დავლური", „განდაგანა", „ლაზური" და „ხორუმი". სასიამოვნოდ ჟღერდა მოსწავლე ნანა ხავთასის შესანიშნავი ტემბრის ხმა.

სიმღერების და ცეკვების მწყობრი, მაღალმხატვრული და შინაარსიანი შესრულებით გამოირჩეოდა მახარაძის მეორე საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ერთმანეთს ცვლიდა ხალხური „ინდი მინდი" და „გაზაფხული". ფანდურზე ტკბილად ამღერებდნენ გ. და გ. ბეშტაიშვილები, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ცეკვები შეასრულეს ნაციონალურ ტანსაცმელში კოხტად გამოწყობილმა პიონერებმა. მაგრამ, რა დიდი იყო მაყურებლის სიხარული და აღტაცება, როცა ბავშვებმა ინგილოების უძველესი ცეკვა „შიპრობა" დაუარეს!

აი, პატარა ხევსურები. ისინი ხმლითა და ფარით შეერკინენ ერთმანეთს, სიცოცხლის ხალისი ჩანდა მათ მოქნილობასა და სწრაფ მოძრაობაში. ხევსურთა ეს ვაჟკაცური შეჯიბრი გორელმა პიონერებმა წარმოადგინეს. გორელებმა ჩამოიტანეს ცეკვა „ლახტი" და გოგონათა ცეკვა „ბავშვთა ზეიმი"; ყვავილებს ჰგავდნენ თეთრი მანდილით ხელდამშვენებული გოგონები. მათი ნარნარი ცეკვა მართლაც ზეიმი იყო მშვენიერებისა, სილამაზისა...

ჩვენს სამშობლოში უდიდესი ყურადღება ექცევა ბავშვთა მუსიკალურ მომზადებას. თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერებამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო ეს. ბევრმა კოლექტივმა ხელი მოჰკიდა მუსიკალურად მეტად რთულ სიმღერებს და დასძლია კიდეც. თბილისის 71-ე სკოლის მომღერალთა გუნდმა ისეთი წარმატებით შეასრულა დუნაევსკის სიმღერა: „იფრინეთ მტრედებო" და ა. ბუკიას „ნანა", რომ დარბაზში ტაში დიდხანს არ შეწყვეტილა. კოლექტივების უმრავლესობა წარმატებით

ასრულებდა ხალხურ მრავალხმიან, ძნელად შესასრულებელ სიმღერებს, როგორიცაა: „ინდიმინდი“, „აკა სირეშიქუ“, „ჩელა“, „ოსიე“, „ბუბა ქაქუჩელა“, „დიდავო ნანა“...

იხურებოდა ფარდა, ხმაურობდა დარბაზი, შემდეგ ხმაური გადინაცვლებდა ქუჩაში. და დიდხანს არ წყდებოდა კამათი, მსჯელობა. ზოგი გუდაუთის მესამე აფხაზური საშუალო სკოლის მოსწავლეთა თვითმოქმედებით იყო აღტაცებული, ზოგი სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის მე-5 საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლით.

ხელახლა იხსნება შრიალა ფარდა, ღელავენ თბილისის სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრები. დღეს მათ გულით უნდათ ერთხელ კიდევ ასახელონ მშობლიურ სკოლა, სკოლა, რომელმაც ბევრი სახელოვანი შვილი აღუზარდა საქართველოს!

ყოჩაღ პირველსკოლელებო! თქვენს მიერ ოსტატურად შესრულებული სიმღერები და ცეკვები მაყურებლებს ღრმად აღებეჭდათ მეხსიერებაში.

სცენაზე გამოჯირითდნენ ჯოხის ცხენებზე ამხედრებული ოქტომბრელები. ერთმანეთს ეჯიბრებიან მათი „ცხენები“. აი, ერთი ჩაჩანაკი ცხენი დავარდა, სირცხვილისაგან მხედარსაც მუხლი ეკეცება. ეს ხალისიანი ცეკვა ჩოხატაურის პირველი საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა წარმოადგინა. ორიგინალობით და რეპერტუარის სიახლით გამოირჩეოდა ქ. ჭიათურის კოლექტივი. მათ ბრწყინვალედ შეასრულეს საბავშვო სიმღერები: „ძიძგი, ძიძგი. მამალო“ და „ჭრელო პეპელა“. თვალს იტაცებდა აფხორილი მამლების ძიძგილაობა და პეპელას ნაზი სამოსელი.

დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა. გაისმა ნაზი, ტკბილი ხმა სიმებისა. ეს ჩვენი ძველი ხალხური საკრავი ინსტრუმენტებია. რა სასიხარულოა, რომ ბავშვებმა შეიყვარეს. შეისწავლეს ეს საკრავები. თბილისის პირველი სკოლა-ინტერნატი და ჩოხატაურის საშუალო სკოლა მასაბაძი მაგალითი უნდა გახდეს ყველა მხატვრული კოლექტივისათვის!

ახლა ინდივიდუალურ შემსრულებლებს აღარ იკითხავთ? რა ვირტუოზულად შეასრულა თბილისელმა ვ. ჭულუხაძემ მოცარტის „რონდო“... სალამურზე! ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლეებმა რ. დარჩიამ და ზ. ძიძიგურმა ცეკვა „ქართულით“ ერთხელ კიდევ დაატყვევეს მაყურებელი. ხაშურელმა გ. კარიაულმა გულწრფელად და ბუნებრივად იმღერა „მერცხალო“. მეექვსეკლასელმა გ. მცურავიშვილმა კი ფანდურზე გემოვნებით შეასრულა ხალხური „სიმღერა დედაზე“. ტაში დაიმსახურა დუშელმა ტყაბლაძემ, მან წაიკითხა ლ. ასათიანის ლექსი: „კრწანისის ყაყაჩოები“.

და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ვინც იმ დღეებში აახმიანა, გაახალისა თეატრის სცენა.

ალბათ, ამ დათვალიერების შედეგებიც გაინტერესებთ:

პირველი ადგილი მიეკუთვნათ ბათუმის 1-ლი, მახარაძის მე-2, გორის მე-3 სკოლების მოსწავლეთა კოლექტივებს და გორის 1-ლი სკოლის ქორეოგრაფიულ ჯგუფს.

მეორე ადგილი მიეკუთვნათ: თბილისის 1-ლი, ჩოხატაურის 1-ლი, ქობულეთის მე-3, სოხუმის მე-5, გუდაუთის 1-ლი, ჭიათურის მე-2, თბილისის 43-ე, 51-ე, 71-ე, ჯავის, თელავის მე-3, ქუთაისის 1-ლი, ფოთის 1-ლი, ცხაკაიას 1-ლი, ზუგდიდის მე-2 და რუსთავის მე-10 საშუალო სკოლების კოლექტივებს.

მესამე ადგილი მიეკუთვნათ: თბილისის 36-ე, სამტრედიის რკინიგზის 23-ე, ლენტეხის, თბილისის 1-ლი, თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატის, ცაგერის და ონის საშუალო სკოლების კოლექტივებს.

მ. ჩარიანაშვილი,

საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

გეოგრაფიული ჩაინვოკრდი



1. ქალაქი ხმელთაშუა ზღვასთან; 2. დედამიწის ჰაეროვანი გარსი; 3. მდინარე ჩრდ. ამერიკაში; 4. ტბა ჩრდ. ამერიკაში; 5. მდინარე ციმბირში; 6. უმაღლესი მწვერვალი კავკასიაში; 7. კუნძული ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში; 8. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში; 9. უმაღლესი მწვერვალი სომხეთში; 10. სახელმწიფო აფრიკაში; 11. ნავსადგური თეთრ ზღვაში: 12. კუნძული აზიაში; 13. კონტინენტი სამხრეთ ნახევარსფეროზე.

შეადგინა **ვ. ჯიშკარიანმა**

ერთ ფიგურას ეკუთვნის ...

ორწგუნო თომა

ასე იტყვიან იჭვიან, უნდობელ ადამიანზე, რომელსაც ვერაფერში დააჯერებ.

ეს გამოთქმა ძველი წარმოშობისაა. სახარების თანახმად, ქრისტეს 12 მოციქული ჰყავდა. ერთ მათგანს სახელად თომა ერქვა. ქრისტე ჯვარს ხუთშაბათს აცვეს, სამშაბათს კი იგი მკვდრეთით აღსდგა, 40 დღე კიდევ დაჰყო ცოდვილ დედამიწაზე და მხოლოდ ამის შემდეგ ავიდა ზეცასო. მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე თავის მოწაფეებს გამოეცხადა. იმ დროს მათ შორის თომა მოციქული არ იყო. როდესაც მოციქულებმა თომას უამბეს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ამბავი, მან ეს არ დაიჯერა. შემდეგ, როდესაც თომამ ინახულა ქრისტე, გაუსინჯა მას ჯვარზე მილურსმნვის დროს მიღებული ჭრილობა, მხოლოდ მაშინ დაიჯერა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა.

შიოს მარანი

ეს გამოთქმა ულეველი, უხვი სიმდიდრის გამოსახატავად იხმარება.

სოფელ ძეგვთან, მტკვრის გაღმა, ალბათ ბევრს შეგიმჩნევიათ მთის ძირში მიყუჟული შიო მღვიმის მონასტერი. გადმოცემის თანახმად, იგი წმინდა შიოს აუგია მეექვსე საუკუნეში და თვითონვე გამხდარა მისი წინამძღვარი. მონასტერთან მარანიც ყოფილა და გულუხვი ბერი ღვინით უმასპინძლდებოდა მლოცველებს. ლეგენდა ამბობს, რომ ქვევრში ღვინო ულევლად იყოო. დაცარიელებული ქვევრები ზენაარსის მადლით თურმე ისევ ღვინით ივსებოდა.

ჭაპანის წევა

ეს გამოთქმა დიდ შრომას, ცხოვრების მძიმე პირობებთან ბრძოლას ნიშნავს.

ჭაპანს გრძელ ღვედს ან ბაწარს უწოდებდნენ, რომლითაც მუშები ზურგზე მოკიდებულ ტვირთს იმაგრებდნენ, ან რაიმე სიმძიმეს მიაჩოჩებდნენ. ჭაპანით არის მიბმული ხარ-კამეჩის უღელი გუთანთან ან ურემთან.

პირველი აპრილი

პირველი აპრილი ძველთაგან უვნებელი მოტყუების დღედ ითვლება. ამ დღეს ნაცნობ-მეგობრები ხუმრობით ატყუებენ ერთმანეთს და, თუკი ტყუილი გაუვათ, იტყვიან: დღეს პირველი აპრილია! ეს ჩვეულება თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული და მას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ამ სახუმარო ჩვეულების წარმოშობის რამდენიმე ვერსია არსებობს. ზოგიერთის აზრით, აპრილში ცვალებადი, მატყუარა ამინდია და აქედან დაიბადა ხალხში იმის იდეა, რომ აპრილის ერთი დღე მატყუარა დღედ ეღიარებინათ. სხვების აზრით, ძველ გერმანიაში ახალ წელს პირველი აპრილით ითენებდნენ და ეს დღე ლხინის, მხიარულობის, საჩუქრებისა და უვნებელი მოტყუების დღედ ითვლებოდა.

რ ე ბ უ ს ი



ეროვნული ბიბლიოთეკა





გეოლოგები აღრეცილებენ უეცრად

ათი წლის წინ მფრინავმა სურგუტინოვმა ყაზახეთის უნაპირო ტრამალებზე ფრენის დროს შეამჩნია, რომ კომპასის ისარი, სრულიად უმიზეზოდ, საოცრად აცეკვდა. შემდეგ ეს ადგილები გეოლოგებმა შეისწავლეს. ასე იქნა აღმოჩენილი სოკოლოვო-სარბაისკის უმდიდრესი რკინის საბადოები.

მაგრამ, ცხადია, მარტოოდენ შემთხვევითი აღმოჩენების იმედით გეოლოგია შორს ვერ წავიდოდა. ჩვენ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლის სიმდიდრის სრული ბატონ-პატრონები უნდა ვიყოთ, სადაც არ უნდა იყოს იგი, ხმელეთზე თუ ზღვის ფსკერზე.

გეოგრაფებს დღეს თითქმის არ დარჩენიათ თეთრი ლაქები რუკაზე, მაგრამ გეოლოგებს კიდევ ბევრი საქმე აქვთ გასაკეთებელი. შეიძლება ჩამოვთვალოთ უზარმაზარი რაიონ ნები, სადაც გეოლოგების ჩაქუჩის ხმა ჯერ არავის გაუგია.

ჩვენი ქვეყნის წიაღისეულის სიმდიდრის შესწავლა ფაქტიურად ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. შეფის რუსეთს, მაგალითად, ქვანახშირის საბადოების მარაგის მხრივ (230 მილიონ ტონა) მეხუთე ადგილი ეჭირა მსოფლიოში. დღეს ჩვენ ვიცით, რომ მარტო დონბასის მარაგი 240 მილიარდი ტონაა, ხოლო მთელი კავშირის ქვანახშირის მარაგი ტრილიონებით ისაზღვრება და მსოფლიო მარაგის 60%-ზე მეტს შეადგენს. აქედან შეიძლება ადვილად წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იყო ძველად წიაღისეული სიმდიდრის შესწავლის საქმე. ახლა ჩვენ რკინისა და ქვანახშირის, მარგანეცისა და ქრომის, სპილენძისა და ნიკელის, ტყვიისა და თუთიის მარაგის მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი გვიჭირავს.



მაგრამ შვიდწლედის პროგრამა იმდენად გრანდიოზულია, რომ ჩვენი ქვეყნის მრეწველობა სულ ახალი და ახალი ნედლეულის უდიდეს რეზერვს მოითხოვს. ამიტომ შვიდწლედის ბოლოსათვის გეოლოგებმა განუზომლად უნდა გაზარდონ თავიანთი საკვლევი მუშაობა. ნავთის მარაგი უნდა გაიზარდოს ორჯერ მეტად, გაზისა-340%-ით, ქვანახშირისა—ერთნახევარჯერ, რკინისა და სპილენძის—40%-ით, ტყვიისა და ნიკელისა—60%-ით და ასე შემდეგ.

ამ შვიდწლედში გეოლოგები დაიწყებენ ახალი მადნეულის ძიებას.

რაკეტული ტექნიკის განვითარებამ, რეაქტიულმა ავიაციამ, რადიოტექნიკისა და ნახევრად გამტარების წარმოების ზრდამ მოითხოვა იშვიათი მადნეულების: გერმანიუმის და ნობიუმის, ტანტალისა და ცერიუმის, ცირკონიუმისა და გაფიუმის, ბერილიუმისა და რენიუმის და სხვათა დიდი რაოდენობა. ყველაფერი ეს არის ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ მათი საერთო მარაგის შესახებ ჯერ კიდევ დაწვრილებით არ ვიცით.

ნავთი და გაზი პირველ პლანზე

ქვანახშირის, ნავთისა და გაზის შესახებ ბოლო დროს ბევრი კარგი, ლამაზი და მართალი სიტყვა ითქვა. მათ მრეწველობის „პურს“ და „ოქროსაც“ უწო-

ჯდებენ. მაგრამ ყოველგვარ შედარებას მაინც ციფრების ენა სჯობს. — უბრალო, მკაცრი და ობიექტური ციფრები.

შვიდწლედის ბოლოსათვის ნავთის წარმოება გაიზრდება 230—240 მილიონ ტონამდე და 1958 წლის დონეს ორნახევარჯერ გადააჭარბებს. გაზის მოპოვება მიაღწევს 150 მილიარდ კუბურ მეტრს, ქვანახშირის ამოღება — 600 მილიონ ტონას.

ეს გრანდიოზული გეგმა რომ შესრულდეს, საჭიროა ჩატარდეს დიდი საძიებო სამუშაოები უპირველეს-ყოვლისა ვოლგაზე და ურალზე, უკრაინასა და სტავროპოლის მხარეში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ქვანახშირის მარაგით ჩვენ წინ ვუსწრებთ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას ერთად აღებულს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შორეული რკინის ბუდობებს, მცირე სისქის ქანებსა და აუთვისებელ სიღრმეებს, მაშინაც კი დარჩენილი მარაგი 1500 წლის მანძილზე გვეყოფა. მაგრამ ქვანახშირის განლაგება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე თანაბარი არ არის. დასავლეთ რაიონებში, ურალის ჩათვლით, ქვანახშირი შედარებით მცირეა, ხოლო მოპოვების პირობები კი მძიმე: ნახშირი ღრმად არის ჩაწოლილი და ქანები უმნიშვნელო სისქისანი არიან. სამაგიეროდ, ურალის გადაღმა მხარეში ქვანახშირის მარაგი მართლაც რომ გრანდიოზულია, და რაც მთავარია, ქვანახშირი მიწის ზედა ფენებშია განლაგებული. საკმარისია ექსკავატორით გადააცალო ფუჭი ქანის პატარა ფენა და შემდეგ თხარე ნახშირი ასი მეტრის სიღრმემდე. ეს მაშინ, როდესაც დონბასში ორი მეტრი ქვანახშირის ქანი უკვე ოცნების საზღვარია. ქვანახშირის ენერგია ბევრად იაფია ნავთისა და გაზის ენერგიაზე. ამიტომ საჭიროა აქ ქვანახშირის ბაზაზე აშენდეს თბოელექტროსადგურები. მაგრამ, სამწუხაროდ, ქვანახშირით მდიდარ ადგილებზე ქვანახშირის მოპოვების მხოლოდ 35% მოდის. ამას გარდა, ზოგიერთი მდიდარი საბადო აუთვისებელია. ხოლო ნაკლებად მდიდარ რაიონებში ქვანახშირის მოპოვება 65%-ს შეადგენს.

ლითონი, ლითონი და კიდევ ლითონი

ვაქებთ და ვადიდებთ რა ახალ შენადნობებს: ტიტანს, ალუმინს, ვოლფრამს, ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ უკვე დროა ბევრის მომსწრე რკინა „შვებულებაში" გავუშვათო. არა, აქამდე ჯერ კიდევ შორს არის! ადამიანთა კიდევ მრავალ თაობას დასჭირდება რკინა.

1958 წელს ჩვენ მივიღეთ 88,8 მილიონი ტონა რკინის მადანი, გავუსწარით ამერიკის შეერთებულ შტატებს (68 მილიონი ტონა) და მსოფლიოში პირველი ადგილი დავიკავეთ. მაგრამ იმისათვის, რომ გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს რკინის წარმოების მხრივ თითო სულ მოსახლეზე, კიდევ ბევრი შრომაა საჭირო. საშუალება კი ამისათვის არის. უკვე ახლა, ჩვენში გამოკვლეული რკინის მადნების რაოდენობა მსოფლიო მარაგის 40%-ს შეადგენს.

რკინის ყველაზე დიდი საბადოებია უკრაინაში, დასავლეთ ციმბირში. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილშია, მაგალითად, კურსკის მაგნიტური ანომალია, თავისი აუარაცხელი მარაგით. ბოლო ხანებში ახალი რკინის საბადოები იქნა აღმოჩენილი ყაზახეთში.

იშვიათი, მაგრამ განსაკუთრებულად საჭირო

მათ ტყუილად როდი უწოდებენ იშვიათს: გერმანიუმის, ცერიუმის, დაფნიუმის და სხვათა შემცველობა ქანებში მეათედი, მეასედი, ხშირად კი მეათასედი პროცენტით განისაზღვრება. საკმარისია ვთქვათ, რომ ყველაზე მდიდარ ქანებშიც კი რაინიუმი მაგალითად, თითოეულ ტონაში რამდენიმე გრამს არ აღემატება. ამიტომ ძალზე ძნელია, ჯერ ერთი, მათი აღმოჩენა, შემდეგ კი დამუშავება. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება კი სწორედ ამ ლითონებს ითხოვს, ითხოვს განუწყვეტლივ და დიდი რაოდენობით.

ღღესდღეობით გამორკვეული და შესწავლილი საბადოები სავსებით დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. მაგრამ არის იმედი, რომ ეს ლითონები სხვა მეტად გავრცელებულ მადნებშიც საკმაოდ ურევია და სწორედ ამ მიმართულებით უნდა წავიყვანოთ შემდგომი მუშაობა.

წყალიც მადნეულია

ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა სულ ახალ, დღემდე აუთვისებელ რაიონებს სწვდება. ათვისებულია უამირები ყაზახეთში და ვოლგაზე. იზრდება ახალი რაიონები ციმბირსა და ჩრდილოეთში, სადაც არ უნდა მივიდეს ადამიანი, სადაც არ უნდა დაიწყოს ახალი მშენებლობა, პირველი საზრუნავი ყოველთვის ერთია—წყალი. იგი მარტო ადამიანს როდი სჭირდება. უწყლოდ წარმოუდგენელია სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. სამწუხაროდ, მეფის რუსეთმა, ამ მხრივ, სრულიად უსუსური მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ახლა მიწისქვეშა წყლების შესწავლის საქმე დიდი მასშტაბით არის გაშლილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ მოსახლეობისათვის მინერალური წყლების მნიშვნელობა და საჭიროება.

* * *

როდესაც ჩვენი ქვეყნის გეოლოგიურ რუკას ვხედავთ, დიდი სიამაყის გრძნობა გვიპყრობს. ჩვენი სიმდიდრე მართლაც აურაცხელია.

როდესაც თქვენ ხედავთ კრიალა ავტომობილს, თვალს აყოლებთ ცაში გაჭრილ თვითმფრინავს, ან, უბრალოდ, როდესაც მაღაზიაში პურს ყიდულობთ, უნდა გახსოვდეთ, რომ ყველგან და ყველაფერში გეოლოგების თავდადებული და შეუმჩნეველი შრომის შედეგთან გაქვთ საქმე.

პ. ანტროპოვი,
სსრკ გეოლოგიისა და მადნეულთა დაცვის მინისტრი

ამქვეყნიურ უვეალფეარზე

კოსმოსური სადგური

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც დედამიწას სწორედ 24 საათში შემოუვლის გარშემო, ახლა ოცნება აღარ არის. ასეთი ხელოვნური თანამგზავრი ადამიანს საშუალებას მისცემს მოაწყოს ტრანსლაცია მთელ ნახევარ სფეროზე, ან მთელ დედამიწაზედაც კი. ამ სურათზე თქვენ ხედავთ რეტრანსლაციურ სადგურის ერთ-ერთ პროექტს, რომელიც ამას წინათ ამერიკელმა ინჟინრებმა შეიმუშავეს.

ვირები შარვლებში

ბისკაის ყურეში არის პატარა კუნძული რე, რომელიც წყნარი და უშფოთველი ცხოვრებით ცხოვრობს. შესაძლებელია, სწორედ ამიტომ მისდევენ კუნძულის მკვიდრნი დრომოჭმულ მოდებს. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ვირებზე, რომლებიც გრძელ კუბოკრულ ან ზოლებიან შარვლებით დადიან. წინათ კუნძულზე ჭაობები ყოფილა და ამიტომ კოლების აურაცხელი ლაშქრები თურმე მოსვენებას არ აძლევდნენ ვირებს. ოდნავ მაინც რომ შეემსუბუქებინათ თავიანთი ვირების ხვედრი, კუნძულის მკვიდრთ ვირებისათვის შარვლების ჩაცმა მოუგონებიათ.

პონტოს მეფის სურათი

1903 წელს. სამეგრელოში, მდინარე ტეხურის მიდამოებში, მუშები საქართველოს რკინიგზის საჭიროებისათვის ქვიშას თხრიდნენ სამტრედიის სადგურზე გადმოსაზიდად. ამ დროს, მიწისმთხრელებმა მდინარის ფსკერზე, სამი-ოთხი მეტრის სიღრმეზე, იპოვნეს ხელისგულის ოდენა მრგვალი ქვა, რომელზედაც გამოხატული იყო ვიღაც მეფისა თუ დიდებულის სურათი. სურათს ქვევით უცხო ენაზე წარწერა ჰქონდა გაკეთებული,

სამტრედიის სადგურზე მისვლის დროს სადგურის უფროსმა ალექსანდრე ბაქრაძემ მუშებისაგან ეს ქვა ექვს შაურად იყიდა და ქართველ საზოგადო მოღვაწესა და ლიტერატორს პ. გელეიშვილს გამოუგზავნა მუზეუმისათვის გადასაცემად, ამ უკანასკნელმა ეს ისტორიული ნაშთი გადასცა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. როცა შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ ამ ქვაზე პონტოს მეფის—მითრიდატის სურათი იყო გამოსახული. ქვევით კი ბერძნულად ეწერა: «მეფეთა შორის დიდებული პონტოს მეფე მითრიდატ XV».

მოღრეცილი ბენი

«დიდი ბენი» — ლონდონის სააბატოს მთავარი კოშკი—ისე განუყრელია ლონდონისაგან, როგორც ეიფელის კოშკი პარიზისაგან, ან მთაწმინდა თბილისისაგან. ახლახან გამოირკვა, რომ დიდი ბენის კოშკი დროთა განმავლობაში გვერდზე გადახრილა. მართალია, იმდენად კი არა, როგორც პიზის განთქმული კოშკი; დახრა სულ რაღაც 30 სანტიმეტრია. 95 მეტრი სიმაღლის დროს ასეთი დახრა უმნიშვნელოა და ერთი შეხედვით არც კი შეიმჩნევა. მაგრამ, ინგლისელები წინააღმდეგნი არიან სოლიდური ბენი პიზის კოშკს უწევდეს კონკურენციას. «არა, ჩვენ ისედაც ბევრი ღირსშესანიშნაობანი გვაქვს—ამბობენ ისინი.—უნდა გასწორდეს დიდი ბენი». პარლამენტში უკვე შევიდა კოშკის რეკონსტრუქციის რამდენიმე პროექტი.



ბიომიცინი ჭურვში

ვეშაპის ხორცი ძალიან მალე ფუჭდება, ამიტომ ხშირად ვერ ასწრებენ მის გადამუშავებას. ბოლო ხანებში ვეშაპმჭერებმა ამის საწინააღმდეგოდ საინტერესო საშუალება მოიგონეს: სასროლად გამზადებულ ჭურვის თავში ათავსებენ ვეშაპის «დოზას». ასეთი ჭურვი, როგორც კი მოხვდება ვეშაპს, ბიომიცინი შედის სისხლში და სანამ ცხოველი მოკვდებოდეს, იგი მთელ ორგანიზმს მორევლის. ბიომიცინი სპობს ლპობის გამომწვევ ბაქტერიებს და ვეშაპის ხორცი უკვე ხანგრძლივად უძლებს გადაუმუშავებლად შენახვას.

ყინულში ან წყალში ბიომიცინის შერევა ორჯერ ახანგრძლივებს თევზის შენახვას, რის გამოც მეთევზეებს საშუალება აქვთ ხანგრძლივი დროით მოსცილდნენ თავიანთ ბაზებს.



როგორ აღმოაჩინეს ვიტამინები

1893 წელს ახალგაზრდა ჰოლანდიელი ექიმი ეიკმანი დასახლდა კუნძულ იავაზე, სადაც მძვინვარებდა საშინელი ავადმყოფობა «ბერი-ბერი». ეს ავადმყოფობა მოდებული იყო ყველა იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა ბრინჯით იკვებებოდა. ბევრი წამალი იხმარა ეიკმანმა მის წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ. ახალგაზრდა ექიმს მოულოდნელად დაეხმარნენ... ქათმები.

ერთხელ, საქათმის გვერდით გავლისას, ექიმმა შეამჩნია, რომ ქათმებს «ბერი-ბერის» ყველა ნიშანი ეტყობოდათ. დაკვირვების შედეგად მან აღმოაჩინა დაავადების მიზეზი: თურმე ქათმები იკვებებოდნენ საავადმყოფოს სადილის ნარჩენებით, სადილი კი მზადდებოდა თეთრი, ჩენჩოგაცლილი ბრინჯისაგან. ცდებმა აჩვენეს, რომ საკმარისი იყო ბრინჯისათვის ცოტაოდენი ჩენჩო შეერიათ, და ავადმყოფობა დაუყოვნებლივ იკურნებოდა.

რა ნივთიერებას შეიცავს ბრინჯის ჩენჩო? ამ კითხვაზე პასუხი გასცა პოლონელმა მეცნიერმა ფუნკმა. 1912 წელს მან ბრინჯის ჩენჩოსაგან გამოჰყო სამკურნალო ნივთიერება, რომელსაც ეწოდა ვიტამინი—სიცოცხლის ნივთიერება.

შემდეგში მეცნიერებმა ნედლ კომბოსტოში, მოცხარში, ლიმონში და სხვ. აღმოაჩინეს ახალი ვიტამინი, რომელიც კურნავს სუროვანდს. ვიტამინების საშუალებით დაძლეულ იქნა ავადმყოფობა პელაგრა.

ამჟამად ოცზე მეტი ვიტამინია აღმოჩენილი. მათ შორის სამი ვიტამინი საბჭოთა მეცნიერებმა აღმოაჩინეს.

„ПИОНЕРИ“ журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина.
№ 9, 1960 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 3—81—85
სსსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». | რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3-81-85
უე 00072. ტირ. 20.000. პირ. ფორ. რაოდ. 4½, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 19/VIII-60 წ. სტამბის შეკვ. 1359. გამომც. შეკვ. 92. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის
პ/კ «კომუნისტი«. | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 2 მან. |

პირველაპირი კაკუბით

ნახატი-ხუმრობები ე. ამბოკაძისა

პეტრეს ცხვირიდან ძმარი ადინეს

ხილიბისტრო დიდი უცხვირპირო კაცია



ოქროპირმა თქვა: თქვენი მოსატყუილებელი

კბილი დიდიხანია მოვიცვალე.

კირილემ ფული შეჭამა

ჭაუის დარიგება

ირონა კარგად დაალილავეს

ზეთის ტილო
ნახ. ვ. ჯიჯიხიანი
6·181/263
ეროვნული ბიბლიოთეკა